# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 16 (1390)

22 ივლისი, 1994 წ.

# სახელდახელო ჩანაწერები

ნოდარ გრიგალაშვილი

## «დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს»

ამ დღეებში ტელეეკრანიდან ორგზის ვიხილეთ მოქალაქეთა კავშირის ოფისები დარბეულ-განადგურებულებულივით...

წაქცეული სკამები, იატაკზე მიყრილ-მოყრილი წიგნები, დაღვრილი მელანი... ამ სურათების ხილვისას ტელემაყურებელს უეჭველად გაუჩნდებოდა კითხვა:

ვინ ბედავს მსახვრალი ხელით შეეხოს იმ ორგანიზაციის ოფისებს, რომლის თავკაცები იმავდროულად სახელმწიფოს თავკაცებიც არიან? ვინ ბედავს შეიჭრას იმ ორგანიზაციის შენობებში, რომელ ორგანიზაციაშიც ის პერსონები არიან გაერთიანებული, ყველასა და ყველაფერზე კონტროლს რომ ახდენენ?

ვის აძლევს ხელს და რა მიზანი ამოძრავებთ იმ დამრბევ ყურუმსაღებს, ჩუმად რომ ძვრებიან გამოცარიელებულ ოთახებში, სადაც სკამებსა თუ მაგიდებს სცემენ?

ძარცვა-ყაჩაღობის მიზნით ამ სარისკო საქმეზე, ალბათ, არავინ წავა, რადგან ოფისთა კაბინეტებიდან ასაწაპნი ბევრი არაფერი არ უნდა იყოს, საქაღალდეებისა და ელსმენის აპარატების გარდა.

არ უნდა ჰგავდეს ეს ყაჩაღთა ნამოქმედარს თუნდაც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ეს საქაღალდეები და აპარატებიც დარბევის შემდეგ ადგილზე ხვდება იქ მომუშავე პერსონალს. უფრო სწორად, ოთახში ხვდებათ, ოღონდ ადგილმონაცვლებული...

ჩნდება ერთი კითხვაც. სხვა პარტიების ოფისებში სხვადასხვა დროს ბომბები ააფეთქეს, ამ მოქალაქეთა კავშირის შტაბ-ბინებში კი შეიჭრებიან, მსუბუქად მიანგრ-მოანგრევენ და მიდიან...

რაშია, მეგობრებო, საქმე?

ხანდახან ასეთ უკეთურ ვარაუდსაც კი მოისმენთ — ამ შავ საქმეს თვით მოქალაქეთა კავშირის წევრები ხომ არ სჩადიან, რათა ხალხში ყოველგვარი გართულებებისა და ნამდვილი ფათერაკების გარეშე გაიგონ წამებულ რევოლუციონერთა სახელები?

მე რომ ეს ვარაუდი, ეს ეჭვი მჯეროდეს, გალაკტიონის მშვენიერ სტრიქონებს —

„დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს
ვინც თავი გაწირა, ვინც სისხლი დაღვარა" —

ამ პარტიასთან მისადაგებით, ასე წავიკითხავდი:

დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს
ვინც სკამი აწია, მელანი დაღვარა...
დანარჩენი როგორც ტექსტშია...

## სამხედრო გზაზე

ამ სათაურით არის სახელდებული გალაკტიონის ერთი ლექსი, რომელშიც პოეტი მისთვის დამახასიათებელი ვირტუოზულობით აღწერს საქართველოს სამხედრო გზაზე დანახულ ყოფით სურათებს.

ლექსი იწყება ასე:

„განთიადისას საქართველოს სამხედრო გზაზე
მიეშურება ქალაქისკენ ზანტი ურმები.
მოაქვთ კაკალი, მოაქვთ ღვინო, მოაქვთ ხორბალი,
სიმძიმით მწარედ იგრიხება ურმის ბორბალი".

გალაკტიონის ეპოქაში ამ ლექსზე კრიტიკოსი დაწერდა: პოეტი რეალისტურად ასახავს საქართველოს მთიანეთიდან მცხეთა-თბილისისაკენ დაძრულ ქართველ გლეხკაცთა ყოფითი ცხოვრების სურათებსო.

დღევანდელი კრიტიკოსი ამ ლექსს რეალისტურს ვეღარ უწოდებს, ყოველ შემთხვევაში, ამ ლექსით რომ სინამდვილე აისახოს, მარტივი რედაქტირება გახდება საჭირო. მე-3 სტრიქონში „მო" ზმნისწინს ყველგან უნდა ჩაენაცვლოს ზმნისწინი „მი".

„განთიადისას საქართველოს სამხედრო გზაზე
მიეშურება ქალაქისკენ ზანტი ურმები.
მიაქვთ კაკალი, მიაქვთ ღვინო, მიაქვთ ხორბალი
სიმძიმით მწარედ იგრიხება ურმის ბორბალი",

ლექსის მხატვრული ღირსება ამ მცირე მანიპულირებით არაფერს დაჰკარგავდა, რეალისტურად კი გამოხატავდა ღირსებადაკარგული საქართველოს ყოფით სურათს, საიდანაც ყველაფერი მიაქვთ და უკან არაფერი მოაქვთ, გარდა ნარკოტიკებისა...

## იზა ორჯონიკიძე და ს[ვ]ინდის-ნამუსი.

### (ციკლიდან "უვითელი ბარათები")

სხდომებით, თათბირებითა და შეკრებებით, გინა თუ მიტინგებით ქართველები ამ ბოლო წლებში ყველაზე დაწინაურებული ხალხი უნდა ვიყოთ მსოფლიო მასშტაბითაც კი. სახლი რომ გვეწვოდეს, ჯერ სხდომას გავმართავთ ან მიტინგს მოვიწვევთ, სადაც მქუხარე და ურთიერთსაწინააღმდეგო გამოსვლებში ხანძრის გაჩენის არცერთ ვერსიას არ დავტოვებთ აუწონავ-გაუჩხრეკავს.

დაბოლოს, არ არის გამორიცხული, „სალმა" აზრმაც გაიმარჯოს. კერძოდ,შესაძლოა მიტინგმა მიიღოს რეზოლუცია სახანძრო მანქანის დაუყოვნებლივ გამოძახების შესახებ...

თუ მეხანძრეები ქართველები აღმოჩნდნენ, ბუნებრივია,მოწვევაზე სწრაფად ირეაგირებენ და ისინიც დაუყოვნებლივ გამართავენ თათბირს საკითხის მთელი სერიოზულობით განსახილველად და გადასაწყვეტად...

ერთი სიტყვით, ამ ჩვენს ტოტალური დეფიციტის ეპოქაში, ერთადერთი, რის ნაკლებობასაც არ ვგრძნობთ, არის სხდომები, თათბირები, კრებები (სამართლიანობა მოითხოვს ითქვას,მიტინგების პრეროგატივა ძირითადად წინა ხელისუფლების საბრძოლო არსენალში დარჩა...)

ამ საკითხზე მსჯელობა ვრცლად და ამოუწურავად შეიძლება, ამიტომ მოკლე დასკვნით შემოვიფარგლოთ — ქართველებს ძალიან გვიყვარს სხდომები.

სხდომებზე დასწრება კი ძალიან უყვარს ქართველების ყველაზე ემანსიპირებულ ქალბატონს იზა ორჯონიკიძეს.

რაც მთავარია, ქალბატონ იზას გარდარეული სიყვარული აქვს ტრიბუნისადმი. და, რაღა თქმა უნდა,მოკრძალებით უყვარს სიტყვის წარმოთქმა ტრიბუნიდან...

მსმენელთათვის კი ყველაზე აღსაფრთოვანებელი ისაა,რომ რა საკითხიც არ უნდა ირჩეოდეს, (კომბოსტოს ჩითილებით სოფლის მეურნეობის მომარაგების პრობლემა რომ იხილებოდეს), ქალბატონი იზა არასდროს ღალატობს თავის საყვარელ თემას — ს[ვ]ინდის-ნამუსის, განსაკუთრებით ქართველი ქალის ს[ვ]ინდის — ნამუსის პრობლემაზე მსჯელობას. როცა დეპუტატ ორჯონიკიძის მშვენიერ გამოსვლებს ისმენს ეგზალტირებული მაყურებელი,უსინდისობისა და უნამუსობის ამოსაშანთად გამიზნულ გამოსვლებს, ყოველთვის ერთი და იგივე ამბავი მახსენდება ხოლმე:

ჩემი სტუდენტობის დროს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას,მომხვეჭელობას, მექრთამეობას...

ბუნებრივია რესპუბლიკის ხელმძღვანელის მოთხოვნა ადგილებზე უნდა განხილულიყო და პრაქტიკულად გატარებულიყო.

წარმოება-დაწესებულებებში შესაბამისი პათოსით იმართებოდა კრებები. ერთი ასეთი სხდომა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც ჩატარდა. პროფესორ-მასწავლებლებით სავსე უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე გამოვიდა დეკანის ერთ-ერთი მოადგილე, რომელსაც შინაურები მექრთამედ იცნობდნენ და ბრძვინი ადინა მექრთამეობასა და თაღლითობას.

დარბაზიდან ერთი ლოთი პროფესორი წამოდგა, ბახუსისადმი მისი ტრფიალება მთელს უნივერსიტეტში იყო ცნობილი.წამოდგა, სიტყვა ითხოვა, ავიდა კათედრასთან და წინა გამომსვლელის უტიფრობით გაოგნებულმა დარბაზს ხაოიანი ხმით გადმოულაპარაკა:

— ხალხო, ეს ხომ იგივეა,მე რომ მემთვრალეობის წინააღმდეგ გავილაშქროო...

რამდენჯერაც დეპუტატი იზა ორჯონიკიძე ს[ვ]ინდის-ნამუსს ახსენებს, განსაკუთრებით ქართველი ქალის ს[ვ]ინდის-ნამუსს და ამ უკანასკნელის არმქონეთა წინააღმდეგ მედგრად გაილაშქრებს ხოლმე, ჩემდაუნებურად ის ცხონებული პროფესორი მახსენდება, ბახუსის მოყვარე პროფესორი. ნათელში იყოს მისი სახელი.

**აქვე გთავაზობთ სახავშვო პოეტის ავთანდილ მეგრელიშვილის მიერ პატარებისათვის შექმნილ ლექსს —**

## იზას ქოხი უყიდია

იზას ქოხი უყიდია,
საზღვარგარეთ შარშან,
ჭაღებიც დაუკიდია,
და ხახვივით შარჩა...
რადგან ქოხი უკიბოა,
არც აქედან არ ჩანს.
კრედიტებზე სირბილი სჯობს
პარლამენტში ჩანჩალს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეპლიკა ნოდარ ნათაძეს

არჩევნებში სხვებივით მეც მოგეცი ჩემი ხმა,
მთელი შენი ავ-კარგით ჯერ-ჯერობით ჩემი ხარ!
ამიტომაც გულწრფელად შენი ბედი მაწუხებს,
სარჯველაძის არ იყოს, მეც მოველი პასუხებს!

გავეცანი შენს მიერ ხელმოწერილ საბუთებს,
იქნებ ვინმე ცილს გწამებს, იქნებ ვინმე აბუქებს?!
შენ კი პასუხს არ აძლევ „უდროობის" მიზეზით,
თავი რომ გაიმართლო, რა „დრო" გინდა ისეთი?

რას მიქვია „დრო არ მაქვს", „დრო" რომ მოგაქვს თავდებად,
ქვეყნად თავი გეჭრება, ისეთი რამ გბრალდება!
გამოდი და სახალხოდ გაგვეცანი პასუხი,
სიმართლეს და სამართალს ხალხი მუდამ თავს უხრის!

თუ კვლავ შენი დუმილით რაიმე ეჭვს გამიჩენ,
ღმერთმა კარგად გამყოფოს, ვინც ჩემს ნაცვლად აგირჩევს!

გურამ კლდიაშვილი

„ლიტერატურული საქართველო" №28 1994

# შეკვეთილ ცილისწამებათა გამო

## ნოდარ ნათაძე

ბატონო გურამ! წავიკითხე თქვენი ლექსი.მოხარული ვარ, რომ შემთხვევა მეძლევა გიპასუხოთ. წივწივაძეს და მისთანებს არ ვუპასუხებდი იმიტომ, რომ დამამცირებლად მიმაჩნია ანგარიში ვაბარო იმათ, ვისაც არ გააჩნია არც ზრდილობა, არც მორალი, არც ელემენტარული პატიოსნება და არც სამართლებრივი ნორმების თუნდ მინიმალური ცოდნა. თქვენი კითხვები ზრდილობიანიც არის და ბუნებრივიც (მშვენიერ ვერსიფიკაციაზეც რომ აღარაფერი ვთქვათ). ამგვარად, გპასუხობთ — რასაკვირველია, იმ ორიოდე თემის გამოკლებით, რომელზედაც ჩემთვის უხერხულია ლაპარაკი მანამდე, სანამ ძიება არ დასრულდება. (აქვე გეტყვით: ჩემთან იმ ძიებას არავითარი საქმე არა აქვს. ამასაც მოგახსენებთ: რაღაც გული მიგრძნობს — რა თქმა უნდა, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე — რომ ეს ძიება ისეთ თემებს მიადგება, რომ არა ერთი მცდელობა იქნება მავანთა და მავანთა მხრიდან, არაერთი ფაქტი მიაჩუმათოს).

ჩემი პასუხი შემდეგია:

1. ჯერ კრედიტის შესახებ. პროექტი, რომლის დაფინანსებასაც ეხებოდა საქმე (გარიგება ამა და ამ საგნების ყიდვის შესახებ), კარგი პროექტია. მისი დაფინანსება სახელმწიფოს მიერ ღირდა. უფრო მეტსაც გეტყვით. იმ პროექტში გათვალისწინებული არხის დაკარგვა არ ღირდა და არც ახლა ღირს, თუკი რომელიმე ბრიყვის წინდაუხედავმა პუბლიკაციებმა, ან ვინმე ეგრეთწოდებული შემოგზავნილის მიერ განგებ გარეთ გატანილმა ამბებმა საქმე არ გააფუჭა. ამ პროექტით მე მომმართა დეპუტატმა ვ.გოცირიძემ სოხუმის დაცემამდე რამდენიმე თვით ადრე. მე ვ.გოცირიძე მივიყვანე თავდაცვის სამინისტროში ამ პროექტის დაფინანსების მიზნით. დაფინანსება სამინისტრომ ვერ შეძლო, მაგრამ დაიწყო მუშაობა სახსრების საძებრად. საბოლოოდ ამ შრომის მთავარ მოქმედ პირებად დარჩნენ დეპუტატი გოცირიძე და მინისტრის მოადგილე, რომელსაც სამინისტროში ებარა იმ პროფილის ამოცანები, რასაც ეს საქმე ეხებოდა. ვ.გოცირიძემ არაერთხელ გამოთქვა ოფიციალურად, რა იცოდა თემაზე, და მე მადლობელი ვიქნები მისი, თუ ამას პრესაშიც გაიმეორებს.

ჩემი ცდა პროექტის დაფინანსებისა ამით არ დამთავრებულა. ვიყავი რამდენიმე მისამართით, საიდანაც შეიძლებოდა დაფინანსების მიღება, მათ შორის თვით მთავრობის თავმჯდომარესთან ო.ფაცაციასთან. მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიე.

6 სექტემბერს (1993) ჩემთან მოვიდა ვ.გოცირიძე და მითხრა, რომ არსებობს პროექტის არაპირდაპირი დაფინანსების საშუალება ფირმის გამოყენების გზით. ასეთი საშუალებები ანალოგიური ამოცანებისათვის მანამდეც ბევრი ყოფილა (სხვა პროექტებთან დაკავშირებით), მაგრამ მე მათთვის არ მიმიმართავს, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში ნათელი არაა სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხის ე.წ. „მარგი ქმედების კოეფიციენტი". განვმარტავ: მოდის ფირმა, გეუბნებათ, მიშუამდგომლე ამა და ამ თანხის კრედიტად მიცემაზე და ამა და ამ ამოცანას დაგიფინანსებთ ამდენი და ამდენი დოლარის ფარგლებში... თან იცოდე, რომ ჩემს კომერციას მხოლოდ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეში გავწევო. ამგვარი წინადადებებისთვის დაბრკოლება ის გახლავთ, რომ თქვენ არ იცით, ეს „დოლარები", რასაც ფირმა გპირდებათ, სახელმწიფოს სამართლიანი წილია იმ მოგებაში, რომელიც იმ დატრიალებულმა სესხმა უნდა მოიტანოს, თუ მხოლოდ ნახევარია, მეათედი ან მეათასედი. ამიტომ მე ასეთ წინადადებებს ყოველთვის უარით ვისტუმრებდი (არცერთი მათგანი არ მიმიღია) ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გაირკვეოდა, რომ ის გასატანი კრედიტები, თურმე, საქართველოში პროდუქტის ან სახსრების შემოტანას კი არ ხმარდება, არამედ, ძირითადად ინფლაციაზე თამაშს, ანუ ჩვენი ქვეყნის გაჭირვებაზე თამაშს საკუთარი ჯიბის გასქელების მიზნით. თუ გახსოვთ, მე ის კაცი გახლავართ, ვინც პარლამენტში ყველაზე მკვეთრად დავუპირისპირდი ამ პრაქტიკას და ყველაზე უფრო მკვეთრად დავდე ბრალი სწორედ უმაღლეს ხელისუფლებას. თუ დავუფიქრდებით და წივწივაძის პასკვილთა ზოგ ადგილს ჩავხედავთ (განა ნათაძე არ იყო, კრედიტების წინააღმდეგ რომ გამოდიოდა), ჩემი ამ სიტყვების დასადასტურებლად იმ ვიდეოფირების ნახვაც აღარ გახდება საჭირო, სადაც ჩემი გამოსვლებია ჩაწერილი.

გავაგრძელოთ ჩვენი თემა

ამგვარად, მე იმ „კარგი" მიზნით კრედიტების გაცემის წინააღმდეგი ვიყავი და დავრჩი. პროექტთა დაფინანსების ერთადერთი გზა, რომელშიც „მარგი ქმედების კოეფიციენტი" ასი პროცენტია, არის მისი დაფინანსება თვით სახელმწიფოს მიერ, როცა ერთი გაცემული კუპონი ან დოლარი საქმისთვის დახარჯულ ერთ კუპონს ან დოლარს ნიშნავს.

6 სექტემბერს, როცა ვ.გოცირიძემ მთხოვა შუამდგომლობა მთავრობასთან ფირმისათვის კრედიტის მიცემის შესახებ, ვითარება სხვა იყო. 27 ივლისს დადებული იყო შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და სოხუმიდან ტექნიკის გაყვანის შესახებ. თუმცა ყველასთვის, ვინც ოდნავ მაინც ჩახედული ვიყავით საქმეში, ნათელი იყო, რომ ომი განახლდებოდა ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ, იმ დროს ოფიციალური თვალსაზრისი მშვიდობას ზეიმობდა და ნათელი იყო, რომ მთავრობა საომრად საჭირო თანხას არ გაიღებდა. (მითუმეტეს, რომ იმ პროექტის დაფინანსებაზე უკვე მქონდა ზეპირი უარი მიღებული („ფული არ გვაქვსო"). ამიტომაც იძულებული გავხდი, პროექტის არაპირდაპირი დაფინანსება მეცადა ფირმის გზით. ის ფირმა იყო „აფხაზეთის საერთაშორისო ფონდი", რომელიც მე თვალით არ მინახავს, ვიცნობდი მხოლოდ რეკომენდატორ დეპუტატს ვ.გოცირიძეს. **არავითარი ფინანსური რისკი მე ამით არ გამიწევია და სახელმწიფოსთვის არავითარი რისკი არ შემითავაზებია. კრედიტის ამღების გადახდისუნარიანობა იმან უნდა შეამოწმოს, ვინც სესხს აძლევს, და არა იმან, ვინც შუამდგომლობს, თანხა ამა და ამ მიზნისთვის გაიღეო.** მე მთავრობას დეპუტატ გოცირიძის წინადადებით დადებული შეთანხმების პროექტი შევთავაზე, ანუ მოვახსენე იმ არხის შესახებ, საიდანაც საჭირო ნივთების შეძენა შეიძლებოდა. ამგვარად, მე გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა. არავითარი,არც იურიდიული, არც მორალური შეცდომა ჩემს მოქმედებაში არ არის.

ეს ამ საქმის პირველი ეპიზოდია.

მეორე ეპიზოდი შემდეგია: მე ჩემს შუამდგომლობაზე უარი მითხრეს და არავის არცერთი კუპონი არ ასესხეს. ეს უარი დათარიღებულია 15 სექტემბრით, ანუ სოხუმზე შეტევის განახლების მეორე დილით, და იკითხება ასე:

„საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ნათაძეს

ამ საკითხის განხილვა შესაძლებელია პარლამენტის მიერ საკრედიტო კომისიის დამტკიცების შემდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი რ.გოცირიძე".

წერილის ნომერია 627/2. პარლამენტი რომ არავითარ ახალ საკრედიტო ემისიას აღარ დაამტკიცებდა, ეს ყველასთვის ცნობილი იყო (ეს გადაწყვეტილება ახლაღა დაირღვა, შედარებითი „მშვიდობის" დროს, როცა კუპონს კიდევ ახალი ლახვარი ჩაეცა ჯერ ოთხასი მილიარდი, ხოლო შემდეგ კიდევ 12 ტრილიონი კუპონის გაკრედიტება-განიავების სახით).

ამის შემდეგ მე, ბუნებრივია, აღარ ვიყავი მოვალე, დამეხსომებინა, რომელი ფირმისათვის მთხოვდნენ კრედიტს, და არც დამიხსომებია, რადგან ამას საქმე არ მოითხოვდა. 18 სექტემბერს სოხუმში გადავფრინდი (დავბრუნდი ოქტომბრის პირველ რიცხვებში) და ამ საქმესთან საერთო აღარაფერი მქონია.

მესამე ეპიზოდი უკვე უჩემოდ ვითარდება და ბუნებრივია, მასზე მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რაც სხვათაგან ვიცი. ის, რის შემოტანასაც მიზნად ისახავდა კრედიტი, შემოტანილ იქნა (მაგრამ, როგორც მე ვიცი, დაახლოებით ნახევარი). ფული, რომელიც მთავრობამ არ დადო, სხვამ დადო, დოლარების სახით, სახელდობრ, კანონით გაუთვალისწინებელმა შეიარაღებულმა ორგანიზაციამ. შემოტანილი ნივთებიც ნაწილობრივ მან აიღო (კერძოდ, რა ნაწილი, ვერ გეტყვით) და, ალბათ, საჭირო საქმეში გამოიყენა. მაგრამ მთავრობას კი მოსთხოვა, ჩვენგან გაღებული დოლარები აგვინაზღაურეთო. და სწორედ მაშინ — იმ ორგანიზაციისათვის ვალის გასტუმრების კონტექსტში — დადგა ხელახლა (ჩემგან გაუგებრად!) იმ ფირმის გამოყენებით იმ კუპონების დოლარებად ქცევის საკითხი. 23 სექტემბერს შედგა მინისტრთა კაბინეტის დახურული სხდომა, რომელმაც მიიღო საიდუმლო დადგენილება „აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდისათვის" 20 მილიარდი კუპონის მინიმალური პროცენტით სესხების შესახებ. დაადგინეს და დაუყოვნებლივ ასესხეს კიდეც. არავითარი კავშირი ჩემთან და ჩემს შუამდგომლობასთან ამ დადგენილებას არ ჰქონდა. ჯერ ერთი, იქ არცერთი სიტყვით არ არის ნახსენები ჩემი შუამდგომლობა. მეორეც, მე ამ დროს სოხუმში ვიყავი. მესამეც, სხდომას ესწრებოდნენ ვ.გოცირიძე და თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანუ მთხოვნელთა როლში ისინი იყვნენ, და არა მე. მეოთხეც (და მთავარი), იმ დადგენილებაში ლაპარაკია არა „ჩვენი პროფილის ნივთების" შეძენაზე, როგორც ჩემს შუამდგომლობაში იყო, არამედ დასახელებულია კონკრეტულად, — მხოლოდ ერთი სიტყვით, — ის, რის შეძენასაც ეხება საქმე. (მაშასადამე, მინისტრთა კაბინეტი რაღაცა სხვა წყაროთი მსჯელობს სიტუაციაზე, და არა ჩემი შუამდგომლობით). მოგახსენებთ მინისტრთა კაბინეტის ამ საიდუმლო დადგენილების ტექსტსაც მცირე შემოკლებით. იგი სავსებით კანონიერად მაქვს გადმოწერილი პროკურატურის ხელთ არსებული მასალებიდან. „ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს გასცეს აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდისათვის 20 (ოცი) მილიარდი კუპონი სესხი ერთი წლის ვადით მინიმალური პროცენტით", შემდეგ მითითებულია მიზანი. ხელს აწერს ო.ფაცაცია. მე ამ დადგენილების ტექსტის დანარჩენ რამდენსამე სიტყვას არ გამოვაქვეყნებ, რადგან დადგენილებას „საიდუმლო" აწერია. მაგრამ მე მგონი, ესეც კმარა.

ეს რაც შეეხება ფაქტებს. ახლა მოგახსენებთ ეჭვსაც. მას შემდეგ, რაც მე უარი მეთქვა ჩემს შუამდგომლობაზე აფხაზეთის ფონდისთვის კრედიტის გამოყოფის შესახებ და, ამგვარად, ჩემმა შუამდგომლობამაც აზრი დაკარგა, ჩემი წერილი კვლავ გამოჩნდა ასპარეზზე (ჩემს არ ყოფნაში). ამჯერად იგი პასუხისმგებელ პირთა რეზოლუციის მთელი სერიით დაიფარა. მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ ბანკმა კრედიტი თუნდაც ამ რეზოლუციის საფუძველზე გაიღო. სრულებითაც არა! ფინანსურმა ორგანოებმა მოითხოვეს (და უნდა მოეთხოვათ კიდეც), რომ იმ სესხის ბედი მთავრობის დადგენილებას გადაეწყვიტა და ეს გაკეთდა კიდეც ზემოხსენებული დახურული სხდომის სახით. ესეც სწორი იყო, რადგან კუპონები მთავრობისა იყო და მათი გასესხების უფლება მთავრობის გარდა არავის ჰქონდა (ისევე, როგორც არავის აკისრია პასუხისმგებლობა მათ ბედზე გარდა მთავრობისა და ბანკისა). მაგრამ მე ვკითხულობ (და ეჭვებიც ამაში მდგომარეობს) ჯერ ერთი: რაკი მთავრობა, ჩემგან განსხვავებით, თვით იყო იმ კუპონების პატრონი და თვითონ შეეძლო ამ კუპონების მიტანა დასახურდავებლად, ანუ შეეძლო ხარჯის პირდაპირი დაფინანსება, რატომ დაიყენა ამ გზაზე საშუალო რგოლად ფირმა („აფხაზეთის ფონდი") ანუ რატომ აირჩია დაფინანსების არაპირდაპირი გზა. მეორეც: როგორ მოხდა, რომ ჩემი აზრდაკარგული შუამდგომლობა კვლავ გამოჩნდა ასპარეზზე როგორც ახალი ქაღალდი, და ამჯერად პასუხისმგებელ პირთა რეზოლუციებით დაიფარა? გააუქმა მთავრობამ თავისი უარი? არა! მივმართე მე მას განმეორებით? არა! შევედავე იმ უარის გამო? არა! ხომ არ მოხდა იმ ერთხელ უკვე კანცელარიაში გატარებული ქაღალდის ქსეროკოპირება (სათანადო აღნიშვნების გამოკლებით) და კვლავ გატარება, რაკი ამჯერად კუპონების გასესხება იყო გადაწყვეტილი? მესამეც: რაკი კუპონები გაიცა კიდეც (ვიმეორებ: კუპონები უნდა გაცემულიყო, მაგრამ არა შემოვლითი, არამედ პირდაპირი გზით) და ნაწილობრივ დაიკარგა კიდეც, რატომ ხდება, რომ „ლიტერატურული საქართველო" და სხვანი (ვინ — ამაზე ქვემოთ) თავის „ეჭვს", მოპარული

ფულის ნაწილი მიითვისაო, მომართავენ ჩემზე, ვინც ამ კუპონების გასესხებაზე ვიშუამდგომლე, მაგრამ სესხების პროცედურის კონტროლი არ მევალებოდა, მაგრამ არა მინისტრთა კაბინეტზე, ვინც სესხის გაცემა დაადგინა და პროცედურის კონტროლიც ევალებოდა, ან ბანკზე, რომელმაც სესხი გასცა და კონტროლი პირდაპირ და უშუალოდ ევალებოდა? ან რატომ არ ჰკითხეს ეს ამ პირებს იმ დეპუტატებმა, [illegible] მკითხა მე — [illegible] ლიშვილმა? ჩემი გამორჩევა [illegible] ეჭვის ობიექტისა, გასაგები [illegible] იმ შემთხვევაში, თუ [illegible] რაღაცა მონაცემი, რომ მე [illegible] გამტაცებლებს ვიცნობ, ან [illegible] ვარ, ან სხვა რამ [illegible] მათთან კონტაქტი, ოლო [illegible] და ბანკი არ იცნო ენ. თუ ვიღაცა ფიქრობს, რომ ნათაძე ჩუმად შეხვდა სადმე გასაქცევად გამზადებულ „აფხაზეთის ფონდს", რათა მისთვის გასამრჯელო გამოერთმია შუამავლობისათვის (თუმცა არ ამბობს, როდის შეხვდა, სად შეხვდა, რამდენი გამოართვა და ა.შ.), რატომ არ ფიქრობს, რომ იმ ფონდს შეხვდა ბატონი ო.ფაცაცია, რომელმაც მისთვის კრედიტის გაცემა დაადგინა, ამ ბანკის პრეზიდენტი, რომელმაც მას ეს კრედიტი მისცა? ეს კითხვები ამ აბსურდული ბრალდებების გამო უპასუხო გახლავთ და უშუალოდ ემიჯნება კითხვას: ვის დასჭირდა და რისთვის დასჭირდა ჩემთვის ქურდობის დაბრალება, მაგრამ არ დასჭირდა სხვისთვის, ვისთვისაც ამის დაბრალება ამდენადვე აბსურდული, მაგრამ უფრო ადვილი იყო? ჩემს ჰიპოთეზას (ჩემს ეჭვს) მოგახსენებთ, მაგრამ მანამდე თქვენს ყურადღებას ერთ ფსიქოლოგიურ მომენტსაც მივაპყრობ.

წივწივაძის კრიმინალისტური ლოგიკა ორგანიზებული ნაძირალობის ჩვეულებრივი ლოგიკაა, რომელიც ძალაშია იმ შემთხვევაში, როცა ამ ნაძირალობას პოლიტიკური, ანუ საგაზეთო-სადეზინფორმაციო კამპანიის მომცველი მასშტაბები [illegible] ჯერ იტყვიან: „ფული მოპარულია. ბატონო ნოდარ, ხომ ვერაფერს გვეტყვით ამის შესახებ?" მერე გკითხავენ: ბატონო ნოდარ, ხომ არ მონაწილეობდით იმ ნაპარავის გაყოფაში?" შემდეგ გეტყვიან: „რაღა დაგიმალოთ ბატონო ნოდარ, ეჭვი გვაქვს, რომ იმ ფულით ხელი მოგითბიათ." შემდეგ იტყვიან: „ნოდარი? ეგ რომელია, ისა, ფულის მითვისებას რომ აბრალებენ?" და ბოლოს: „ნოდარი, რომელმაც, როგორც ცნობილია, ფული ჩაიჯიბა". ამ ალმავალი ცილისწამების წარმატებისათვის არაა აუცილებელი, რომ მის საფეხურთა შორის რაიმე ახალი ფაქტები და ახალი აღმოჩენები მოხდეს. ეს „კრესჩენდო", ანუ თემის „ზრდა" მარტოოდენ მკითხველ-მსმენელის ფსიქოლოგიის კანონებს ემყარება, რომლებიც პროფესიონალმა კომუნისტ-ფაშისტებმა კარგად იციან, წივწივაძისთანა მოხალისე არამზადამ კი შეიძლება საკუთარი გულმოდგინებითაც იპოვოს ყნოსვით, რადგან ამაში რთული არაფერია. ამ შემთხვევაში არა მგონია — და ამას ხაზს ვუსვამ — საქმე წივწივაძის პირად ყნოსვასთან არა გვაქვს. ზემოხსენებული კითხვა, „რაღა შუამდგომელს სთხოვ პასუხს ნაწილობრივ დაკარგული სესხის გაცემაზე და არა იმას, ვინც გაცემა დაადგინა, ან იმას, ვინც იგი გასცა?" მეტის მეტად მარტივია, რის გამოც დაუჯერებელია წივწივაძეს თავისი კამპანიის უპერსპექტივობა ვერ დაენახოს. ამიტომ ვფიქრობ, რომ იმ მიკრონაძირალების უკან, რომლებმაც წამოიწყეს ეს ინტრიგა და ანხორციელებენ ცილისწამების ამ კამპანიას ჩემს მიმართ, მაკროებიც დგანან, რასაც, სხვათა შორის, ამ ინტრიგის განვითარების ქრონოლოგიური სურათიც მეტყველებს, რომელსაც პროკურატურაში დებული კარგა სქელი საქაღალდე შეიცავს.

პირველი ეტაპი: გაზეთი „ლიტერატურული საქართველო" აქვეყნებს წერილს ჩემს წინააღმდეგ მიწერ-მოწერის ასლებითურთ. მეორე ეტაპი: დეპუტატი ქალები ნ.დევდარიანი და ნ.კირთაძე, დაახლოებით სინქრონულად, პროკურატურას მიმართავენ სადეპუტატო შეკითხვებით გაზეთის პუბლიკაციის გამო (ერთი შეკითხვა, თუ არ ვცდები, ეხება ზემოხსენებულ კრედიტის ამბავს, მეორე, — თავდაცვის ფონდის ამბავს, რომელზედაც ქვემოთ მოგახსენებთ). მესამე ეტაპი: პროკურატურა დეპუტატთა შეკითხვების საპასუხოდ იწყებს გამორკვევას თუ რა მოხდა და, ბოლოს, მეოთხე ეტაპად ისევ დეპუტატი კირთაძე ტელევიზიით აცხადებს, ჩემი გვარის ხსენების ფონზე, რომ პროკურატურაში წარმოებს გამოძიება (ან აღძრულია საქმე, აღარ მახსოვს დეტალები), რითაც მაყურებელს მიანიშნებს, რომ მე ეჭვმიტანილი ვყოფილვარ. იურიდიული თვალსაზრისით ეს მზარდი ცილისწამება სასაცილოა, გულუბრყვილო მკითხველის თვალში ჩემი დისკრედიტაციის თვალსაზრისით — საკმაოდ ქმედითი. ცილისწამების ოპერაციის ზემოხსენებული მრავალსვლიანობა და კოორდინირებულობა მაძლევს საფუძველს ვიფიქრო, რომ მისი ორგანიზაცია უფრო მაღალ დონეზე მოხდა, ვიდრე გაზეთია ან თუნდაც დეპუტატთა ჯგუფის ნებაა. დევდარიანისა და კირთაძის ვინაობისა და რაობის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ მანამდე, სანამ არ მეცოდინება, რომ მათ უკან თითო მამაკაცი მაინც დგას, რომელსაც შეუძლია მათი ღირსების დაცვა იმ შემთხვევაში, თუ თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს. მაგრამ ზემოხსენებული ინტრიგის მოტივების შესახებ კი ჩემს მოსაზრებას გეტყვით.

ეს ინტრიგა გამოწვეულია არა მხოლოდ იმით, რომ კრედიტების განიავების პოლიტიკას პარლამენტში პირველად მე ვუწოდე სახელმწიფოს ეკონომიკური ძირგამოთხრის პოლიტიკა. მისი მთავარი მოტივი შემდეგი მგონია: სწორედ იმ დროს — სოხუმის დაცემის წინა დღეებში — მოვიდა ჩვენს პოლიტიკაში საქართველოს სნგ-ში შეთრევის თემა. მე ეს „იდეა" პირველად სოხუმში მითხრეს ან 19 ან 20 სექტემბერს (ზუსტად ველარ აღმიდგენია). პირველი დადებითი რეზოლუცია უჩემოდ განახლებულ შუამდგომლობას კრედიტის გაცემის შესახებ ადევს 21 სექტემბრის თარიღით. ამგვარად, ჩემი ჩართვაც (ჩემდა უკითხავად) იმ ღონისძიებაში, რომელიც უკვე აღარაა დადებითი, იმ დღეს ეკუთვნის. (რატომ აღარაა დადებითი, ეს უკვე მოგახსენეთ: ამ დროს უკვე ომია და აღარავინ გვაიძულებს, ეს ღონისძიება არაპირდაპირ ვაფინანსოთ პირდაპირი დაფინანსების ნაცვლად). კუპონების გაცემა უკვე გადაწყვეტილია. მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაში ჩემს შუამდგომლობას ვერ დაიმოწმებენ (ასეთი დამოწმების იურიდიული აბსურდულობის გამო). ამიტომ ამ უკვე უარნათქვამი და ამგვარად აზრდაკარგული შუამდგომლობის მნიშვნელობის ილუზიას მაინც ქმნიან და მას პასუხისმგებელი ხელმოწერებით აჭრელებენ. რა კავშირია „ესენგეს" გეგმის გათრევისა და ჩემი დისკრედიტაციის ამოცანებს შორის, ამას, ალბათ, კომენტარი არ სჭირდება.

დღეს სამხედრო პროკურატურა იძიებს (არა არკვევს, არამედ უკვე იძიებს) აფხაზეთის ფონდის მიერ მიღებული კრედიტის ბედს და იმ კრედიტის ერთი ნაწილით (თუ არ ვცდები, ნახევრით) შეძენილი საგნების ბედს. ჩემთან და ჩემ სახელთან ამ ძიებას საერთო არაფერი აქვს. დამატებით ინფორმაციას (და, მე ვფიქრობ, ძალიან მძიმე ინფორმაციას) მაშინ მივიღებთ, როცა ძიება დამთავრდება (თუ, რა თქმა უნდა, მას ხელი არ შეუშალეს).

2. უთუოდ გაინტერესებთ, რატომ ვუპასუხე პარლამენტში დასმულ კითხვას, რა იცით აფხაზეთის ფონდის შესახებო, არაფერი ვიცი-მეთქი. ვუპასუხე იმიტომ, რომ არ ვიცი და თვალით არ მინახავს ის ფონდი. მას შემდეგ, რაც უარი მივიღე ამ ფონდისთვის კრედიტის მიცემის შუამდგომლობაზე, მე აღარ მევალებოდა, მხსომებოდა მისი სახელი ან მისი არსებობა, და აღარც მახსოვდა. რატომ მივეცი მანამდე შუამდგომლობა და რატომ, ამაზე უკვე მოგახსენეთ. მე რომ ოფიციალურად მიმელო სადეპუტატო შეკითხვა და პასუხი ათი დღე დამეხანებინა, როგორც წესი უფლებას მაძლევდა, მოვაძებნინებდი სათანადო ქაღალდებს და ვაცნობებდი პარლამენტს იმას, რაც წეღან მოგახსენეთ. ვნახავდი, სხვათა შორის „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილი დოკუმენტის ასლსაც: ბანკი „თამარიონი", რომლის ხელშიც გაიარა კრედიტმა ეროვნული ბანკიდან „აფხაზეთის ფონდისკენ", რატომღაც მე მიგზავნის (და არა ო.ფაცაციას ან ეროვნულ ბანკს) „აფხაზეთის ფონდზე" მიწერილი წერილის ასლს, პროცენტებს დროზე გადაიხადეთო. ბუნებრივია, მე ეს ერთერთ შემთხვევად ჩავთვალე, როცა მომმართავენ იმაზე, რაც პროფილით მე არ მეკუთვნის, და ყურადღება არ მივაქციე. მაგრამ საკითხავია: რა იცის ბანკმა „თამარიონმა", რომელთანაც მე არასდროს არავითარი ურთიერთობა არ მქონია, რომ არსებობდა ჩემი შუამდგომლობა მინისტრთა კაბინეტთან?

ვიმეორებ: მე რომ ათი დღე დამეხანებინა პასუხი, ყველა ამ დეტალებს პარლამენტში ვიტყოდი, მაგრამ არსებითად ამით ჩემს პასუხში არაფერი შეიცვლებოდა.

3. მესამე თემაა ბატონ აბგაროვის თემა, რომელსაც „თეთრი ქართველი" წივწივაძე „შავ სომხად" იხსენიებს და მასთან საქმის დაჭერას დანაშაულად მითვლის. აბგაროვი რუსეთშია კანონიერი საქმისთვის, რომელიც ჩვენ გვჭირდება, სახელდობრ, მან უნდა აწარმოოს „მოლაპარაკება განზრახვათა შესახებ" (ზუსტად ესე წერია ჩემს მიერ მიცემულ ქაღალდში), რომელსაც თეთრი, მაგრამ ერთუჯრედიანი წივწივაძე მთელი თავისი ცბიერების მიუხედავად ვერ აწარმოებს. თუ ამ ბატონს საქართველოდან რამე უკანონოდ გაუტანია (რაც, ალბათ, ისეთივე ტყუილია, როგორც წივწივაძის ყველა სხვა მტკიცება), ჩემი ქაღალდი ამაში ხელს ვერ შეუწყობდა, მაგრამ თუ მაინც გაიტანა ან გატანა უნდოდა, მაშინ რატომ არ გვეუბნება წივწივაძე, რა მიჰქონდა და როდის? მეორე ქაღალდით, რომლის ნამდვილობაშიც ეჭვი მეპარება, აბგაროვს ხელი ეწყობა გადაადგილებაში „პა ტერიტორიი გრუზიი", მაშასადამე, ამ ქაღალდს არავითარი ძალა არა აქვს, წინააღმდეგ წივწივაძის მტკიცებისა, რუს მესაზღვრეებთან. თუ იგი აბგაროვს ვინმესგან დაიცავს, მხოლოდ რუსულენოვანი დამყაჩაღებლებისაგან საქართველოს შიგნით, რომელთაგანაც მას კანონი უნდა იცავდეს. ვიმეორებ: მე ეჭვი მეპარება იმ მეორე ქაღალდის ნამდვილობაში (სხვათაშორის, მას აწერია თარიღი თორმეტი მესამე 1994 — თარიღი, როცა მე ხუთი დღის ნაოპერაციები ვიწექი საავადმყოფოში), მაგრამ განურჩევლად იმისა, იგი ჩემი გაცემულია თუ არა, იგი არაფერს უკანონოს ან სხვა მხრივ სასაყვედუროს არ შეიცავს. ისევ თავის ინტელექტის შესაბამისად, წივწივაძე წერს: თუ ქაღალდი ყალბია, მით უარესი, ნათაძეს ეს ქაღალდი აფერისტისათვის მიუციაო. იგი ვერ ფიქრობს (მაგრამ მკითხველმა კი უნდა იფიქროს), რომ ქაღალდის გაყალბება (თუ იგი ყალბია) შეეძლო სხვასაც, იმ გზის ნებისმიერ წერტილში, რომელიც მან გაიარა მისი შექმნის ადგილიდან გაზეთის ფურცლამდე.

აი, მთელი შინაარსი წივწივაძის ლაშქრობისა აბგაროვის წინააღმდეგ. რა ხარისხისაა ეს ლაშქრობა, ვხედავთ, მაგრამ ნუ გეგონებათ, რომ ამ ბრიყვებისთვის განკუთვნილ ბრიყვულ ცილისწამებას აუდიტორია არ ყავს. სხვათა შორის, ერთმა პარლამენტარმა, იმ ჭკუის კოლოფთა რიცხვიდან, ესენგეს რომ ხელი აუწიეს, თავის ჭკუის კოლოფ კოლეგებს უთხრა: „გაიგეთ, ნათაძე სომხების აგენტი ყოფილაო", მაგრამ ის კი არ თქვა, ვისი აგენტია ის, ვინც წივწივაძეს გამოსაქვეყნებლად გაუგზავნა ის წერილი, რომელშიც უცხო ქვეყანაში ჩვენი ინტერესების დასაცავად მომუშავე კაცის გვარი წერია!

4. უკვე მოვახსენე მკითხველს გაზეთ „საქართველოში" და ვიმეორებ: **თავდაცვის ფონდიდან ჩემი პირადი წერილობითი თავდებობით ექვსი მილიონი რუსული მანეთი იმან გაიტანა, ვისაც უნდა გაეტანა, იმისთვის გაიტანა, რისთვისაც უნდა გაეტანა, და ისე დახარჯა, როგორც უნდა დაეხარჯა.** ვისაც სურს, ამაში დარწმუნდეს, პროკურატურას მიმართოს და არსებულ საქმეში ჩაიხედოს. ახლა კი ჩემს ამ პასუხს კითხვით [illegible] „ლიტერატურული საქართველოს" [illegible] ლიკაციები ალბათ წაკითხული გაქვთ. ახლა გეკითხებით: არ მიგაჩნიათ შეურაცხმყოფელად საქართველოს მწერლებისათვის, რომ მათი გაზეთის რედაქტორად წივწივაძის ინტელექტის კაცი ჰყავდეთ? (მორალზე აღარ ვლაპარაკობ, რადგან იგი უფრო ძნელი გასაზომი გახლავთ). მე მგონი, შეურაცხმყოფელია! და თუმცა მე მრჩება პატივისცემა მწერალთა კავშირის ზოგი წევრის მიმართ ჩემ კარგ ნაცნობთა რიცხვიდან, უნდა გამოგიტყდეთ, გაოცებული ვარ, რომ გაზეთის ბინძურ კამპანიას დღემდე არცერთი მწერლის არცერთი სიტყვა არ შეეწინააღმდეგა.

ერთსაც გეტყვით, რაზეც თქვენ ვერ შემეკითხებოდით, რადგან ვერ მოასწრებდით. გაზეთის იმავე ნომერში, რომელშიც თქვენი შეკითხვა-ლექსია, გამოსახულნი ვართ მე და წივწივაძე ავტომატით ხელში, ცალცალკე, და ლულები ერთმანეთისკენ გვაქვს მიშვერილი (ცხადია, ეს მონტაჟია. ორივეს ერთი და იგივე ავტომატი გვიჭირავს). მე ამ ჩლუნგი ხუმრობით შეურაცხყოფილი ვარ, ვინაიდან წივწივაძის პირდაპირ დგომა იმდენადვე არასაკადრისად მიმაჩნია, რამდენადაც მის გვერდით ყოფნა. კიდევ უფრო შეურაცხმყოფელია (და ისევ — დაუმსახურებლად შეურაცხმყოფელი) გაზეთის კომენტარი: წივწივაძე „ტყვიას ტყვიაში აჯენს", ნათაძე კი „სროლაშიც ისევე უზუსტოა, როგორც ფაქტების მოყვანაშიო". ფაქტების მოყვანაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება სროლას, მე არ ვიცი, წივწივაძე როგორ ისვრის (სროლა, მოგეხსენებათ, ყველას შეუძლია, სნაიპერები არიან ინვალიდებიც, ქალებიც, მრავალგვარი პათოლოგიით დაავადებული ადამიანებიც და ყველა ჯურის არაკაცებიც), მაგრამ ვიცი, რომ იმ სამხედრო ნაწილში, სადაც მასპინძლებმა ავტომატი ხელთ დაგვაჭერინეს, სროლის შედეგების აღრიცხვა არ ყოფილა! მართალი გითხრათ, არც მქონდა ხალისი მიზანში მესროლა იმათ საზოგადოებაში (ლაპარაკია მწერლების თუ „მწერლების" ჯგუფზე), ვინც სადილის წინ ავტომატით გახალისებას კადრულობს, თუმცა იქ სროლა, სადაც საჭიროა ომის დროს, აზრადაც არ მოსვლია. რედაქციის ფანტაზია ამჯერადაც ისეთივე უხამსი და პრიმიტიული გამოდგა, როგორც სხვა დროს: ბავშვური გულუბრყვილობა (აბა რა საკადრისია სროლით კვეხნა) შუბლის ძარღვგაწყვეტილ უილაჯო ღვარძლთან შეერთებული.

ერთი თემა გამოგვრჩა და ბარემ იმასაც შევავსებ. ხულიგან გაზეთში თუ პარლამენტის კომისიაში (აღარ მახსოვს — სად) წამომაძახეს, კომისიის სახელით რომ ქაღალდს ხელს აწერთ, თქვენს უფლებამოსილებას ამეტებთო. განვმარტავ. თავდაცვის კომისიის სახელით ქაღალდების გაცემის უფლება მე მაქვს. ამას მეტყველებს ჩვენი კომისიის დებულება. ასე რომ არ იყოს, მე მომიხდებოდა კომისიის წევრებისათვის მეტის თქმა, ვიდრე საქმე მოითხოვს.

ასე რომ, ბატონო გურამ, ჩემს მოქმედებაში არ იყო და არ არის არცერთი წვეთი სიმცდარე, გაუფრთხილებლობა, ანგარება, დანაშაული, წინდაუხედაობა, ძალაუფლების გადამეტება ან სხვა რამ მინუსი, რასაც გაზეთი მომაწერს. თუ კთხვები გაქვთ ან გაუგებრობა გრჩებათ, სიამოვნებით გაახლებთ ჩემს პასუხს, რადგან საზოგადოებასთან კონტაქტი და ამ თემაზე დიალოგი დიდად მწადია. ოღონდ ნუ გაგიკვირდებათ, რომ წივწივაძისთანებს არ დაველაპარაკები, რადგან მათთან ყოველგვარი კონტაქტი არასაკადრისი მგონია. ბ-ნ ზ. სარჯველაძის წერილი ჩემი მისამართით, უბრალოდ, შეუმჩნეველი დამრჩა. წინააღმდეგ შემთხვევაში უსათუოდ ვუპასუხებდი. მაგრამ ახლა აღარ ვუპასუხებ, ვინაიდან მისმა დუმილმა წივწივაძის მიერ მისი სახელის ბინძური მიზნით გამოყენების გამო ხალისი დამიკარგა მას ესოდენი პატივი მივაგო.

აი, ეს გახლავთ ყველაფერი, რისი თქმაც შემიძლია და რაც, ჩემის აზრით, სავსებით საკმარისია წივწივაძის მხილებისათვის სიცრუეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭოს განცხადებები

**რესპუბლიკაში** საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება კვლავ უაღრესად დაძაბული რჩება. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრას. პარლამენტის თავმჯდომარემ და საპარლამენტო უმრავლესობამ, ნაცვლად სახელმწიფო მშენებლობის უმწვავესი საკითხების ღია და პირუთვნელი განხილვისა პარლამენტის სხდომებზე, ფაქტიური ბოიკოტი გამოუცხადა ოპოზიციის მიერ ხელისუფლების სტრუქტურული რეორგანიზაციის, საფინანსო სისტემის გაჯანსაღების, ეკონომიკური რეფორმების, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხების განხილვას, საბოლოოდ კი ორი თვით შეაჩერა პარლამენტის მუშაობა.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურ საბჭოსა და ფრაქცია „რესპუბლიკელებს" ამგვარი გადაწყვეტილება უმძიმეს შეცდომად მიაჩნია. საქართველოს პარლამენტი, მიუხედავად თავისი ნაკლოვანებებისა, რჩებოდა ერთადერთ ორგანოდ, სადაც საქართველოში არსებული სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკური ძალები მეტ-ნაკლებად ახერხებდნენ აზრთა გაზიარებას, პოზიციათა შეჯერებას და საერთო გადაწყვეტილებების მიღებას. საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო იყო პოლიტიკური დიალოგის ადგილი, რაც მნიშვნელოვანწილად უწყობდა ხელს საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ძალთა შორის დაძაბულობის შენელებასა და ქვეყანაში მეტ-ნაკლებად სტაბილური ვითარების შენარჩუნებას.

რჩება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფოს სათავეში მყოფი ძალები, ხედავენ რა საკუთარი პოლიტიკის სრულ კრახს, განზრახ ძაბავენ სიტუაციას, ხელს უწყობენ პოლიტიკური პროცესების ქუჩაში გადატანას, არეულობის გამოწვევას. მომავალში კი ეცდებიან აქციათა ორგანიზატორებს და მთლიანად სახელმწიფოში არსებულ არასტაბილურ ვითარებას გადააბრალონ როგორც აფხაზეთში მიმდინარე პროცესების კრახი, ისე მომავალი ზამთრის უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, მოამზადონ ნიადაგი ფართო პოლიტიკური რეპრესიებისათვის. მოსალოდნელ შიდა დაპირისპირების დროს კი, დამარცხების შემთხვევაში ეცდებიან ხალხისა და მომავალი თაობების წინაშე მოიხსნან პასუხისმგებლობა თავიანთი მმართველობის დამღუპველი შედეგების გამო და კიდევ ერთხელ დააფიქსირონ, რომ მათ „არ აცალეს" დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკური საბჭო და ფრაქცია „რესპუბლიკელები" გრძნობს რა საკუთარ პასუხისმგებლობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამო, საქართველოში სტაბილურობის შენარჩუნების, სამოქალაქო დაპირისპირების თავიდან აცილების და სახელმწიფოს გადარჩენის აუცილებელ პირობად მიიჩნევს ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების პარლამენტში გადაჭრას. უპირველესად პარლამენტის თავმჯდომარესა და საპარლამენტო უმრავლესობას, ასევე ოპოზიციას დღეს ევალება ერთობლივად გამონახოს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის აუცილებელი სტრუქტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარების გზები.

ფრაქცია „რესპუბლიკელები" და პოლიტიკური საბჭო გამოდის ინიციატივით და მიმართავს პარლამენტის თავმჯდომარეს და როგორც უმრავლესობაში, ისე ოპოზიციაში მყოფ ფრაქციებს, დაუყოვნებლივ დავიწყოთ კონსულტაციები იმ აუცილებელი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომელმაც თავიდან უნდა აგვაცილოს ქართული სახელმწიფოებრიობის მოსალოდნელი კატასტროფა. ფრაქცია „რესპუბლიკელები" მზად არის დაიწყოს კონსულტაციები ზემოაღნიშნულ საკითხებზე როგორც პარლამენტის თავმჯდომარესთან, ისე ნებისმიერ ფრაქციასთან.

თბილისი,
1994 წლის 15 ივლისი

●

**გაერთიანებულ** რესპუბლიკურ პარტიას დაუშვებლად მიაჩნია არსებულ თუ მოსალოდნელ ისეთ სახელისუფლებო გაერთიანებაში მონაწილეობა, რომლის მართვის თუ გამოყენების თუნდაც ნაწილობრივი ბერკეტები საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებობს.

ვაცნობიერებთ რა ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების მშვიდობიანი, სტრუქტურული და თვისობრივი ცვლილების უკიდურეს აუცილებლობას, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია და საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელები" გამოდიან ინიციატივით, დაიწყოს კონსულტაციები საქართველოს რეალურ პოლიტიკურ ძალებთან, პირველ რიგში კი საპარლამენტო ფრაქციებთან, რაც საშუალებას მოგვცემს საქართველოს პრობლემები საშინაო რეზერვებზე დაყრდნობით მოვაწესრიგოთ და ქვეყანა გამოვიყვანოთ კრიზისიდან.

მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შეეძლება რუსეთთან ურთიერთობების ღირსეულად მოგვარება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ინტერესების დაცვით. ცხადია, რომ ცალმხრივ დათმობათა კაპიტულანტური კურსი კიდევ უფრო აღრმავებს საქართველოს სახელმწიფოს პრობლემებს და მას მოსპობით ემუქრება.

თბილისი,
20 ივლისი 1994 წელი.

# ერთი ცრუ ინფორმაციის გამო

**მიმდინარე** წლის 14 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია სათაურით — „კონსტრუქციული დიალოგი ვერ შედგა".

ინფორმაციაში ლაპარაკია სენაკის მოსახლეობასთან და აფხაზეთიდან ლტოლვილებთან გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლების ბატონების თედო პაატაშვილის, მერაბ ურიდიასა და ამ სტრიქონების ავტორის შეხვედრის შესახებ.

ჩვენი პარტიისადმი ესოდენი ყურადღების გამოჩენისათვის რესპუბლიკის სამთავრობო საინფორმაციო საშუალებების მიმართ მადლობის მეტი რა გვეთქმის, რომ არა ერთი სამწუხარო ფაქტი.

ინფორმაციის სათაურიდანვე ირკვევა, რომ მისი ინკოგნიტოდ დარჩენილ ავტორს (როგორც შემდეგ გავარკვიეთ, სენაკის გამგეობის თავმჯდომარის ერთ-ერთ მოადგილეს, მოქალაქეთა კავშირის წევრს) მხოლოდ პარტიის დისკრედიტაციის მიზანი ამოძრავებს და შეხვედრის პერიპეტიებს გაყალბებულად აწვდის მკითხველს.

ჯერ ერთი, შეხვედრას სინამდვილეში 600 კაცამდე ესწრებოდა „ინფორმაციაში" კი აღნიშნულია 250—300 კაცი. 2 საათნახევრის განმავლობაში აუდიტორიის უდიდესი ნაწილი ყურადღებით ისმენდა ორატორთა გამოსვლებს, ინფორმაციაში კი აქცენტი ორიოდე პროვოკატორზე გადააქვს, რომლებსაც დარბაზიდანვე გაეცა საკადრისი პასუხი. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ჩვენი თხოვნისა თუ მცდელობისა (მიკროფონიც კი ჩვენ მოვიტანეთ), შეხვედრა რადიოფიცირების გარეშე მიმდინარეობდა და რომ არა დამსწრე საზოგადოების უდიდესი ნაწილის კეთილგანწყობა, 600 კაციან დარბაზში უმიკროფონოდ, საქართველოში არსებულ უმწვავეს პრობლემებზე ორსაათნახევრის განმავლობაში საუბარი უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. თუმცა, ეტყობა, ინფორმაციის ავტორი ცოტა ნამუსმაც შეაწუხა და დასკვნის სახით წერს: „...არც შეხვედრის მსვლელობისას და არც შემდგომ რაიმე გართულებები არ ყოფილა..."-ო.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი შეხვედრა 10 ივლისს ქუთაისის თეატრის შენობაშიც გაიმართა, და ორივეგან შეხვედრების მონაწილეთაგან ბევრმა გამოთქვა სურვილი გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრობისა.

ჩვენთვის გასაგებია, რომ მოქალაქეთა კავშირს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის არსებობის ფაქტიც კი ერთობ აწუხებს. მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის განცხადებაც რად ღირს „სამი ნეგატიური ძალის გაერთიანების" — შესახებ, მაშინ როდესაც მთელი საქართველო მერამდენე წელია მოუთმენლად ელის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანებას. სიცრუესა და ჭორზე აგებული ინფორმაციის გავრცელება პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციის მიზნით თვით მოქალაქეთა კავშირისათვისაც კი სამარცხვინოა.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია კვლავაც გააგრძელებს საზოგადოებრიობასთან შეხვედრებს საქართველოს ქალაქებსა თუ რაიონებში და იმედოვნებს, რომ საქინფორმი და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" ოპერატიულად და ობიექტურად გააშუქებს ამ და სხვა მოვლენებს.

გოჩა გაპაშელი,
გაერთიანებული
რესპუბლიკური
პარტიის პოლიტიკური
საბჭოს წევრი

# ქართული ჟურნალი ისრაელში

**ი**სრაელში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე ქ. ხოლონში გამოდის ქართველ ებრაელთა ყოველთვიური ჟურნალი „დროშა", რომელიც მაღალ მხატვრულ-პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული.

ჟურნალის მეოთხე გვერდზე მოთავსებულია სტატია, რომელიც ეძღვნება საქართველოდან ალიის დაწყების ოცდამეხუთე წლისთავის აღსანიშნავ საღამოს.

„მეორე სამშობლოს" მიმართ დიდი სიყვარულის მიუხედავად, იერუსალიმში მყოფი ებრაელები წუხილს და შიშს გამოთქვამენ არეულ საქართველოში დარჩენილ თანამოძმეთა გამო და ჰპირდებიან ყველა პირობის შექმნას ისრაელში დეპორტირების მსურველთ.

ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ისრაელს აყვავება და ბედნიერება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო ეკონომიკურ კრიზისს გადალახავს იმ დახმარების წყალობით, რომელსაც სხვა ქვეყნები და მათ შორის, ისრაელი გაუწევს.

ჟურნალს აქვს რუბრიკა „საქართველოდან ამოსულები", სადაც ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს აცნობს მკითხველს.

„დროშა" გვამცნობს, რომ შექმნილია საქართველოდან გამოსულ ქალთა ასოციაცია, რომლის დიდის მეცადინეობით საქართველოში ლტოლვილთათვის ჰუმანიტარული დახმარება გამოიგზავნა. ქალებს არც მადლობის თქმა დაავიწყდათ მათთვის, ვინც მხარში ამოუდგა ამ კეთილშობილურ საქმეში, ქალთა ასოციაციაში შექმნილია საზღვარგარეთის ქვეყნებთან კავშირის განყოფილება, რომლის მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და რა თქმა უნდა საქართველოში მცხოვრებ ქართველ ებრაელ ქალებთან კავშირი. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობს დოქტორი ფანი ჯინჯიხაშვილი. ცნობილია, რომ საქართველოში ცხოვრებისას, ფანი ჯინჯიხაშვილი იკვლევდა ქართულ-რუმინული მეგობრობის ფესვებს, ამ ორი ხალხის ურთიერთობას ხელოვნების, ფილოსოფიის სფეროებში. მანვე გამოსცა წიგნი „ანთიმოზ ივერიელი", რომლის წინასიტყვაობაში ამ ორ ხალხზე ლაპარაკისას, ის ხაზს უსვამს მათ მუდმივ მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. სწორედ ამ თვისებამ მოაქცია ბედის უკუღმართობის გამო რუმინეთში მოხვედრილი ანთიმოზ ივერიელი მე-17 ს რუმინეთის რელიგიურ-პოლიტიკური მოვლენების ცენტრში. ჯერ კალიგრაფი, მერე ტიპოგრაფიის მეთაური, ბოლოს კი რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტი მთელ ენერგიას და მრავალმხრივ ნიჭს რუმინელი ხალხის თურქეთის ბატონობისგან განთავისუფლებისაკენ მიმართავს. ამის გამო, ის სიცოცხლეს წამებით ასრულებს.

ქ-ნი ფანი ახლა ისრაელში ცხოვრობს და იქაც აგრძელებს საქართველოსთვის ასე საჭირო საქმიანობას.

ჟურნალი არც მწერლებს, პოეტებსა და მხატვრებს ივიწყებს. ოცდამეცხრე გვერდზე პოეტი სიმა ჯანაშვილი დიდი სიყვარულით იხსენებს მორის ფოცხიშვილს.

„დროშაში" ქართული სპორტისთვისაც გამოინახა ერთი გვერდი და ბოლოს, მხიარული მინიატურები ასრულებს ჟურნალს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოდან ამოსულნი ერთი წლის განმავლობაში ჟურნალს უფასოდ მიიღებენ.

სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ასე გაუსაძლისი გასაჭირის ჟამს, ჩვენგან ძალიან შორს ფიქრობენ ჩვენზე და ქართულ ენაზე ასე კარგად გაფორმებული, მაღალი ხარისხის ჟურნალს გამოსცემენ.

[illegible]

# გზა დასავლური ცივილიზაციისაკენ

დავით ბერძენიშვილი

მსოფლიოს მესამე გადანაწილება ამ საუკუნეში საქართველოსთვის მძიმე პირობებში მიმდინარეობს. საქართველო-რუსეთის ინტერესთა ბალანსი დღეისათვის აღარ იძებნება.

80-იანი წლების მეორე ნახევარში არ მოხერხდა მოსკოვსა და „მოკავშირე რესპუბლიკათა" პოლიტიკურ ძალებს შორის ურთიერთმისაღები მოდელის შემუშავება, რომელიც იმპერიის დაშლის" პროცესს ცივილიზებულ სახეს მისცემდა. მოსკოვმა უარყო თავისუფლებისათვის მებრძოლი ერების მიერ შეთავაზებული მოდელი (უპირველესად, ეს ეხება ბალტიის რესპუბლიკებს), რომლის მიხედვითაც რუსეთი მინიმალურ გავლენას დასჯერდებოდა რესპუბლიკებზე, ხოლო დაპყრობილი და თავისუფლების მოსურნე ერები მოიპოვებდნენ თუ აღიდგენდნენ სუვერენიტეტის მაღალ ხარისხს (ამასთანავე, სუვერენიტეტის ხარისხი განსხვავებული იქნებოდა იმის მიხედვით, თუ რა საშინაო და საგარეო რეზერვები აღმოაჩნდებოდა თითოეულ რესპუბლიკას).

მოსკოვი წავიდა იმპერიის მოდიფიკაციისა და დაპირისპირებულ რეგიონებში მეხუთე კოლონის შექმნისა და ამუშავების გზით.

პირველად ეს მოდელი გასინჯეს ყარაბაღში. ამ მეთოდით ისინი ასუსტებდნენ აზერბაიჯანის თავისუფლებისაკენ სწრაფვას (ტერიტორიის დაკარგვის საფრთხის გამო) და სომხეთის ანტიმოსკოვური მიმართულების მომხრეებს (ტერიტორიის შეძენის მოსკოვის დახმარებით გაჩენილი შესაძლებლობის გამო).

შემდეგ ეს მიდგომა განავითარეს ცხინვალსა და აფხაზეთში, გაგაუზიასა და დნესტრისპირეთში, ამჟამად მიმდინარეობს პროცესი ყირიმში, აღმოსავლეთ უკრაინაში. ვერ მოახერხეს მსგავსი პროცესების წარმართვა ბალტიის რესპუბლიკებში.

ამჟამად ბალტია გადის რუსეთის სივრციდან და აღწევს სუვერენიტეტის კიდევ უფრო მაღალ ხარისხს მოსკოვთან დაპირისპირების შედეგად, ვიდრე ისინი თანხმდებოდნენ 80-იანი წლების ბოლოს, ხოლო დანარჩენი რესპუბლიკების მდგომარეობა ძალიან დამძიმდა.

რუსეთის მეშვეობით რუსეთის მიერვე შექმნილი თუ გამოყენებული პოლიტიკური, სამხედრო, რეგიონული, ფინანსურ-ეკონომიკური და სხვა პრობლემების გადაჭრის მცდელობამ ეს რესპუბლიკები რუსეთის სივრცეში დატოვა და სუვერენიტეტის მხოლოდ გარეგნული ატრიბუტები დაუტოვა.

ამჟამად СНГ-ს ბაზაზე კონფედერაციის სახელით რეალურად რუსეთის ფედერაციის შექმნის პროცესი მიმდინარეობს. მოსკოვთან სრული დამარცხების შედეგად საქართველო დააყენეს უფსკრულის პირას — მოსკოვი მთლიანად გააკონტროლებს თბილისს და ამასთანავე, კონტროლის უზრუნველსაყოფად, არასაიმედო თბილისისაგან ფაქტიურად დამოუკიდებლად გააკონტროლებს სოხუმს, ცხინვალს, ბათუმს (რეზერვები კიდევ რჩება საჭიროების შემთხვევაში).

ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპი მუშაობდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 90-იან წლებამდე. მსოფლიოს ახალი გადანაწილების პროცესმა ეს პრინციპი უკვე დაარღვია და გაერო ამას შეეგუა (იუგოსლავია, შემდეგ ბოსნია-ჰერცოგოვინა). ჩვენ გვემუქრება მაკრატლით რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაჭრა და ჩვენი წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაში მსოფლიო ამას მიიღებს, ფაქტობრივ მდგომარეობას სამართლებრივად გააფორმებს. ასე რომ, რუსეთის სივრცეში ასეთ პირობებში დარჩენის შემთხვევაში ჩვენ ვკარგავთ სახელმწიფოებრიობას და ამასთანავე რეგიონებს. რეალურად დაცული იქნება არა საქართველო, არამედ რუსეთის ტერიტორიული მთლიანობა.

რუსეთის სივრციდან გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლად ძალიან გაუჭირდება. მას სჭირდება საერთო ინტერესის მქონე პარტნიორი. საქართველო არც გეოგრაფიულად, არც გეოპოლიტიკურად, არც ეკონომიკურად, არც სამხედრო თვალსაზრისით სასრული დამოუკიდებელი რეგიონი არ არის. რაკი დღეისათვის არ არსებობს კავკასიური ან თუნდაც ამიერკავკასიური ერთობის შესაძლებლობა (ეს ჩვენი და განსაკუთრებით ჩვენი მეზობლების წინდაუხედაობის შედეგიც არის), უნდა ვეცადოთ, მოვსინჯოთ თუნდაც არასაკმარისი (დაცვის თვალსაზრისით), მაგრამ სასრული, სხვა რეგიონებთან მჭიდრო თანამშრომლობის შემთხვევაში, კავკასიის ყელი. ასეთი ხიდი შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო-აზერბაიჯანის ტანდემი. ჩვენდა საბედნიეროდ, აზერბაიჯანის ხელისუფლებათა არათანმიმდევრობის მიუხედავად იქ აღარ დგას რუსის ჯარი და ყარაბაღის თუ აზერბაიჯანის სხვა ტერიტორიებზე რუსეთისა და მისი პარტნიორის ოკუპაციის მიუხედავად, რუსეთის სამფლობელოდ აზერბაიჯანს მისი ხელისუფლება არ იმეტებს. საქართველო-აზერბაიჯანის ყელი სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება სხვა რეგიონულ სტრუქტურებთან მჭიდრო ეკონომიკური და არა მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობის შემთხვევაში. შუა აზიაში დაწყებული პროცესი სახელმწიფოთა დაახლოებისაკენ რუსეთთან არათანაბარუფლებიანი თანამშრომლობის პირობებში მათი დაცვის მექანიზმების ძიებისაკენ არის მიმართული, კასპიის და შავი ზღვები მათთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა თურქეთთან და დასავლეთთან დასაკავშირებლად, მეორეს მხრივ, თურქეთის სწრაფვა შუა აზიის მონათესავე ხალხებისაკენ ცხადია. სწორედ თურქეთი არის დღეს დასავლეთის ფორფოსტი ახლო და შუა აღმოსავლეთში. რუსული იმპერიალიზმი და ისლამური ფუნდამენტალიზმი არის ცივილიზებული დასავლური სამყაროს ორი მთავარი საფრთხე, რომელთა დასასუსტებლად თურქეთ-კავკასია (საქართველო-აზერბაიჯანი ჯერჯერობით) — . თურქულენოვანი შუა აზია — პერსპექტიული დამცავი ხაზია. უდი-

გაგრძელება მე—6 გვ.

თვალსაზრისი

# სიძულვილო, ძალსა შენსა...

სტატია, რომელსაც დღეს მკითხველს ვთავაზობ, დაიწერა 1990 წლის 25 მარტის არშემდგარი არჩევნების წინა პერიოდში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო მაშინ აღარ გამოქვეყნებულა. მიზანი კი ერთადერთი იყო: უკვე მაშინ გათიშული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შეკავშირება საერთო მტრის — კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ. მას შემდეგ ბევრი უბედურება დაგვატყდა თავს, იყო სიხარულიც, თუმცა მწუხარება განუზომლად მეტი, ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს აზროვნებაში და წარმოდგენებში; ამიტომ დღევანდელი გადმოსახედიდან იმ სტატიაში შეიძლება ზოგი რამ მოძველებულად და გაცვეთილად მოგვეჩვენოს, მაგრამ, ჩემის აზრით, იქ გამოთქმული ორი მოსაზრება სამწუხაროდ დღესაც აქტუალურია. სიმართლე გითხრათ, აღარც კი მეგონა, თუ მათი სამზეოზე გამოტანის აუცილებლობა კიდევ დამიდგებოდა, მაგრამ ასეთი ყოფილა ჩვენი მწარე ხვედრი, — ისტორიის გაკვეთილებიდან ვერაფერი ვისწავლეთ და დღევანდელ კატასტროფულ მდგომარეობამდე მოსვლას ჩვენივე უგუნური ქმედებებითაც მნიშვნელოვანწილად შევუწყეთ ხელი...

დღეს ისევ კომუნისტები (სახეშეცვლილნი!) არიან ხელისუფლების სათავეში, და ისევ გათიშულნი ებრძვიან ეროვნული ძალები ამ ხელისუფლებას. ისტორია ისევ მეორდება... ამის გამოა, რომ ვბედავ და ოთხი წლის წინათ დაწერილ სტატიას უცვლელი სახით ვთავაზობ მკითხველს, თუ რამდენად მიესადაგება იმჟამინდელი ჩემი მოსაზრებანი ჩვენს დღევანდელობას, ეს თავად მან განსაჯოს.

სიყვარულს დიდი ძალა აქვსო, ნათქვამია. უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ მე ახლა შევეცდები დავასაბუთო, რომ ზოგჯერ სიძულვილსაც აქვს არანაკლები ძალა...

ხშირად მიფიქრია იმის თაობაზე, თუ რა საფუძველს ეყრდნობა იმ ადამიანის ნებისყოფა, რომელსაც აწამებენ და არ კი ტყდება. გასაგებია, რომ ადამიანი წამების გზას შეგნებულად ადგება იდეისა ან რწმენის გამო. ამის დამადასტურებელი მაგალითები ქართველ ხალხსაც ბევრი მოეპოვება. მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა: ჩვენს უახლოეს წინაპართა შორის განა ცოტანი იყვნენ არამორწმუნენი, პოლიტიკისგან შორს მდგომნი, რომელნიც საბჭოთა კომუნისტური იმპერიის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში КГБ-ს ჯურღმულებში არაადამიანურად ეწამნენ, მაგრამ გაუსაძლისს გაუძლეს და მაინც არ გატყდნენ? მათ რაღა ძალა აძლებინებდა?

რასაკვირველია, ადამიანი, ზოგადად, მრწამსისათვის იგდებს თავს განსაცდელში, მაგრამ ეს მხოლოდ ზოგადად, ერთ გარკვეულ მომენტამდე. ხოლო როცა სამყარო შენთვის ორ ნაწილად გაიყოფა, როცა შენ უკვე მარტო, სრულიად მარტო, ტკივილის რეცეპტორებით აღსავსე ფიზიკური სხეულით პირისპირ დგახარ შენი ჯალათების წინაშე, რომელთაც შენს საწამებლად ათასგვარი იარაღი მოეპოვებათ, და იცი (ო, როგორ იცი!) რომ ხსნა აღარსაიდან არ იქნება, — აი, ამ მომენტიდან უკვე არა მგონია, რომ ისევ მრწამსი ან იდეა იყოს ნებისყოფის დასაყრდენი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დასაყრდენია ამაღლებული სიძულვილის გრძნობა: შენ თავდავიწყებით, უსაზღვროდ გძულს შენი ჯალათები და ის ბნელი ძალებიც, რომლებსაც ისინი განასახიერებენ. შენ მათდამი სიძულვილით მაღლდები მათზე, მათი ჯიბრით უძლებ ახალ-ახალ წამებას და, შეიძლება, ამაში ერთგვარ სიამოვნებას თუ არა, კმაყოფილებას მაინც პოულობ...

პირადად მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუკი ოდესმე КГБ-ს ჯურღმულებში მოვხვდებოდი (დიდი იმედი მინდა ვიქონიო, რომ ეს არ მოხდება) და თუკი გავუძლებდი (რაიც, რასაკვირველია, არსაიდან არ გამომდინარეობს და წინასწარ ნურავინ დაიკვეხნის). მხოლოდ ერთადერთი გრძნობა გამაძლებინებდა, ეს იქნებოდა დიდი სიძულვილი კომუნისტური ძალმომრეობისა და მისი საყრდენი ძალის, — КГБ-ს ჯალათების მიმართ. მათ ჯიბრზე გავუძლებდი! აი, რაში ვხედავ მე ამაღლებული სიძულვილის ძალას! თუკი „სიყვარული აგვამაღლებს", თურმე სიძულვილსაც შესძლებია ჩვენი ამაღლება და მერე როგორი!..

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება მძულდა ყოველივე კომუნისტური: იდეოლოგია, პარტია, ლიდერები, წყობილება, ლოზუნგები. მძულდა ისე, რომ შემეძლო და ახლაც შემიძლია ამ სიძულვილის ახსნა ისე, როგორც სიყვარულს უხსნიან ხოლმე საყვარელ ქალს... მძულდა ტყუილითა და ფარისევლური იდეოლოგიით ფარისევლური იდეოლოგიით აღსავსე ფასადური გარემო. ამ საყოველთაო ტყუილით გაულენთილ-შედედებული იყო თვით ჰაერიც კი, რომელსაც ლამის ფიზიკურად ვგრძნობდი. გთხოვთ სწორედ გამიგოთ; მე ამით არ მინდა პიროვნული შეურაცხყოფა მივაყენო კომპარტიის რიგით წევრებს, მაგრამ მე დიახაც პიროვნულად მძულს კომუნისტური იდეოლოგიის „კორიფეები" და მათი „იდეების" ცხოვრებაში გამტარებლები (ლენინი, სტალინი, ძერჟინსკი, ორჯონიკიძე, ბერია, ბრეჟნევი და მათი მსგავსნი, — რომელი ერთი მოვთვალო?). მაგრამ, რაც მთავარია, მე მძულს მათ მიერ შექმნილი სისტემა, რომელმაც მიზნად დაისახა და მიაღწია კიდეც ადამიანის ხულის გაუკულმართებას, მასში ყოველივე პიროვნულის წაშლას, გამანქურთებას და იძულებით ტაშის დამკვრელი კაცთმოძულე ჭანჭიკებად გადაქცევას, ნათელი მიზნის — კომუნიზმის სახელით! ხოლო რაც შეეხება პარტიის რიგით „ჯარისკაცებს", მომიტევონ, მაგრამ მათი მავნე როლი ისაა, რომ წარმოადგენენ კომუნისტური დიქტატურის იმ პირამიდის საიმედო საძირკველს, რომლის წვერში პოლიტბიურო და გენერალური მდივანი სხედან.

ხანდახან ისიც მეჩვენება (და ბოლო ხანებში ამაზე ხშირად ისმის ხაუბარი), რომ დე-

გაგრძელება მე—6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა დასავლური ცივილიზაციისაკენ

მეხუთე გვერდიდან

დესი როლი ენიჭება ნავთობის უზარმაზარი მარაგის მოპოვებასა და გატანას აზერბაიჯანიდან, აგრეთვე ყაზახეთიდან.

აზერბაიჯანის ნავთობის დასავლური კომპანიების მიერ მოპოვება და საქართველოს გავლით გატანა ყველაზე პერსპექტიული ხაზი იქნება (ალტერნატივა — რუსეთზე გავლით ნოვოროსიისკში, სომხების კონტროლს დაქვემდებარებული (ან ამ ხიფათის მქონე) ტერიტორიის გავლით თურქეთში).

აზერბაიჯანის ხელისუფლება ცდილობს, ნავთობის გატანა რუსის ჯარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არ გადიოდეს. ცხადია, ეს ეკონომიკური ინტერესი გადაჯაჭვულია რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთალტერნატიულ მიდგომებზე.

საქართველოს შესაძლებლობები ჩრდილო კავკასიაში ამჟამად შეზღუდულია. ჩვენი სრული არაკომპეტენტურობის გამო რუსეთმა შეძლო თავისი არსით, ანტიიმპერიული (ანუ ანტირუსული) ჩრდილოკავკასიური ენერგიის საქართველოს წინაალმდეგ მომართვა და გამოყენება (ძირითადად, აფხაზეთის ომს ვგულისხმობ, აგრეთვე შევარდნაძე-გამსახურდიას რუსეთის მიერ მართული დაპირისპირება-პარტნიორობის ფაქტორს). მაგრამ ეს ენერგია თავის ბუნებრივ კალაპოტს იპოვის, თანაც მნიშვნელოვნად გაძლიერებული. თუ ის მარტო არ აღმოჩნდება თავისუფლებისათვის ბრძოლაში (რუსეთისაგან თავისუფლების ხარისხი მათი განსასაზღვრია — რუსეთის შემადგენლობაში თუ მის გარეთ). თავისუფლების შედარებით მცირე ხარისხიც კი დასაცავი ექნებათ მომავალში და დამცველი ისევ კავკასიაში უნდა იპოვონ. საქართველო-აზერბაიჯან-თურქეთის ერთობლივი შესაძლებლობები, თავისი არსით ანტიფუნდამენტალისტური და ანტიიმპერიალისტური, განუზომლად დიდია, ვიდრე ცალ-ცალკე, ამასთანავე თავსებადია თითოეული სახელმწიფოს ინტერესებთან, ერთის მხრივ, და დასავლეთის ინტერესებთანაც პერსპექტივაში, მეორეს მხრივ.

უკრაინაში არჩევნების შედეგების მიუხედავად, კონფრონტაცია მთლიანად უკრაინასა და რუსეთს შორის მოხსნილი არ არის — იქნებ, პირიქით. რუსეთის სახიფათო იმპერიულ პოლიტიკას სატელიტ ქვეყნებში დაუპირისპირდებიან (ხელისუფლებასა თუ ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკურ ძალთა და მათი კონტროლის ქვეშ მყოფ მსხვილ რეგიონთა პრობლემები კიდევ უფრო გაშიშვლდა). ეს დაპირისპირება, სავარაუდოა, მზარდი იქნება რუსეთის პოლიტიკური ელიტის იმპერიისაკენ სწრაფვის პირდაპირპროპორციულად. 1993 წ. 12.XII არჩევნები რუსეთში ადასტურებს, რომ უხეში იმპერიული ძალები რუსეთში მზარდნი არიან. ელცინის ხელისუფლებაც მათი ჩაწილია და ისინი თვისობრივად ერთიან პოლიტიკას აწარმოებენ.

თურქეთ -უკრაინა-საქართველოს ინტერესები შავ ზღვაზე (სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა ასპექტები) თავსებადია და მოწინააღმდეგისთვის სახიფათო.

გზა დასავლური ცივილიზაციისაკენ გადის დღეს არა „ერთმორწმუნე“ რუსეთის მეშვეობით, სადაც მართლმადიდებლობა სახელმწიფო იმპერიულ სტრუქტურებშია ჩაწნული საუკუნეების მანძილზე (ამაზე ყველაზე კომპეტენტურად დიდი რუსი საეკლესიო მოღვაწენი მიუთითებენ), არამედ არაფუნდამენტალისტურ, წარმოშობით მაჰმადიანურ ერებთან მჭიდრო თანამშრომლობაზე, რომელთაც ბოლო წლებში დაადასტურეს, რომ ისინი საქართველოს ყველაზე უხიფათო და სანდო მეზობელ-პარტნიორები არიან.

საქართველო-აზერბაიჯანის ტანდემი ზემოთჩამოთვლილი დამცავი ფაქტორების გათვალისწინებით იმუშავებს იმ შემთხვევაშიც, თუ ვერ მოხერხდება უახლოეს ხანებში რუსეთის სივრციდან სრული გამოსვლა. ცალ-ცალკე რუსეთი სახელმწიფოებრიობის მოსპობას გვიქადის, ერთად კი ანგარიშგასაწევი სახიფათო რეგიონული ერთობა ვიქნებით, რომლის თავისუფლების ხარისხი რუსეთის გავლენის სივრცეშიც კი გაცილებით უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე დღეს გვთავაზობენ. შესაბამისად, ტერიტორიული მთლიანობაც, თუნდაც სატელიტობის დროს წინააღმდეგობის უნარიანი ქვეყნებისთვის უფრო მეტი ალბათობით იქნება დაცული, ვიდრე დღეს არის.

აზერბაიჯანი არ გაურბის ყარაბაღის პრობლემის გაჭიმვას. არ აპირებს ასეთ მძიმე პირობებშიც კი სტატუსზე მსჯელობას, სანამ არ მოხდება აზერბაიჯანის ტერიტორიის დეოკუპაცია. ჩვენი „მსოფლიო დონის პოლიტიკოსისა“ და მისი იდეოლოგებისაგან განსხვავებით 2-3 წელი მზადება ტერიტორიების რეალურად დასაბრუნებლად არ აშინებთ, რადგან ეს ბევრად უფრო სანდო და დროში მოკლე გზა არის, ვიდრე რუსეთისადმი წართმეული რეგიონების კაპიტულანტური პოლიტიკით რუსეთის მიერ დაბრუნების უნიათო მცდელობა.

საქართველო-აზერბაიჯანის დაახლოება დამაფიქრებელი იქნება სომხეთისთვისაც, რომლის რეალისტურ პოზიციებზე დადგომა უზრუნველყოფს ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, საქართველოს ტრადიციული როლის გააქტიურებით.

ბუნებრივია, ჩვენი პოზიციების გამზიარებელი დღევანდელი ხელისუფლება არ არის. შემოთავაზებული ვარიანტი გაშლას და პრაქტიკული პოლიტიკით მექანიზმების შექმნას მოითხოვს. ეს დროში განფენილი პროცესია და რამდენიმე წლის მანძილზე მის განხორციელებას ითვალისწინებს. ახალ არჩევნებამდე ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია და შეგვიძლია მხოლოდ შევაფერხოთ სახელმწიფოებრიობის კვდომა, რათა ხელისუფლებაში მოსვლის დროსთვის საქართველოს სახელმწიფო ჯერ კიდევ, თუნდაც საშინლად დაუძლურებული, მაინც ცოცხალი იყოს და მისი გადარჩენის პერსპექტივები არსებობდეს.

# სიძულვილო, ძალსა შენსა...

მეხუთე გვერდიდან

დამიწაზე ჩამოყალიბდა ადამიანთა მოდგმის (Homo sapiens) რაღაც ახალი სახეობა, რომელსაც პირობითად შეიძლება Homo comunistus უწოდოს კაცმა... მასში შესული ადამიანების ეროვნებას არავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს და სწორეცაა: კომუნისტები ხომ „ინტერნაციონალისტები“ არიან და ეროვნებებზე მაღლა დგანან!.. Homo comunistus შეკავშირებულნი არიან მხოლოდ უმაღლეს რანგში აყვანილი ტყუილისა და ძალმომრეობისადმი მონური თაყვანისცემის გრძნობით. ჭეშმარიტად, დიდი უბედურებაა, ცხოვრობდე ქვეყნად და ეს სიძულვილის გრძნობა თან გდევდეს მუდამ! მაგრამ, ალბათ, ყველაფერს ბედი უნდა...

ცდუნებას ვერ ვუძლებ და აქ მინდა გავიხსენო ერთი ფრიად განსწავლული და დახვეწილი ინტელიგენტის ბატონ სამსონ მეფისაშვილის გამონათქვამი, ეს პიროვნება გახლავთ ჩვენი უახლოესი წინაპრების იმ პლეადის წარმომადგენელი, რომელთა ამ ქვეყნიდან წასვლა ხომ თავისთავად დასანანია, მაგრამ განუზომლად უფრო გულდასაწყვეტია ის, რომ ასეთ ადამიანებს სამუდამოდ თან გაჰყვათ იმ ეპოქის სულისკვეთებაც, რომელსაც თავად განასახიერებდნენ და რომელიც აღარასოდეს დაბრუნდება... ჰოდა ბატონი სამსონი ბრძანებდა (არ მიწყინოს მისმა სულმა!): კომუნისტები ისეთი ხალხია, რომლებიც ნეხვის ჭამას მაძალებენო; მივირთმევ, რადაი თავს ზემოთ ძალა არააო, მაგრამ იმასაც მაძალებენ, გინდა თუ არა, იძახე, რა გემრიელიაო; აი, ამას კი ველარ ვახერხებო...

რაც ზემოთ მოგახსენეთ, შეიძლება ამაზე არც კი ღირდა მკითხველის ყურადღების შეჩერება, მაგრამ მე სრულიად გარკვეული მიზანი მამოძრავებს: მსურს მივმართო საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ყველა წინამძღოლსა და რიგით წევრს, განურჩევლად მათი დისიდენტურ მოძრაობაში მონაწილეობის სტაჟისა, ცალკეულ საკითხებზე შეხედულებებისა და პარტიულობისა: თანამემამულენო! ეტყობა თქვენ საკმარისად ამაღლებულად არა გძულთ ის კომუნისტური სინამდვილე, რომელშიც მთელი ჩვენი შეგნებული ცხოვრება ვარსებობთ, თორემ საერთო მტრის, კომუნისტური დიქტატურის ჯიბრზე ერთმანეთს ასე არ დაუპირისპირდებოდით და გაცილებით მეტ დათმობებზე წახვიდოდით, რათა საერთო მტერი არ გაგეხარებინათ! საერთო მტერი კი რომ ერთი გვყავს, ეს, ალბათ ყველასთვის ცხადია. ამიტომ გთხოვთ, რაკი ერთმანეთის სიყვარულმა ამდენ ხანს ვერ გაგვაერთიანა, ამაღლებული სიძულვილის გრძნობამ მაინც გაგვაერთიანოს!

გთხოვთ გაიხსენოთ (მათი სახელით მომართვის არავითარი უფლება არა მაქვს) ყველა ის უდანაშაულო რეპრესირებული ადამიანი, რომელთაც გაუსაძლისს გაუძლეს და მაინც არ გატყდნენ, და მათი ხსოვნის პატივსაცემად მაინც გავერთიანდეთ! ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია გავუძლოთ ზოგიერთ წყენას, ყური არ მივუგდოთ განსხვავებული აზრის მოსმენით გამოწვეულ უსიამო გრძნობას, გაბრაზებასაც (ღმერთო, რა უმნიშვნელოა ყოველივე ეს იმ ჩვენი ღირსეულ მამა-პაპათა წამებასთან შედარებით!) და შევიკრათ ერთ მუშტად საერთო მტრის არგასახარად. შევიკრათ და, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის შევიცული, 1924 წლის აჯანყების მონაწილე სოლომონ ზალდასტანიშვილი ბრძანებს, დავდგეთ მხოლოდ ერთი დროშის ქვეშ, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის დროშა ჰქვია!

1990 წლის მარტი

P.S. დღეს ისევ კომუნისტები არიან ხელისუფლების სათავეში, ოღონდ განუზომლად უარესად სახეშეცვლილნი: დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულებმა საქართველოში იარაღის დიქტატი და სრული განუკითხაობა დაამყარეს, გაძარცვეს, დაანგრიეს ქვეყანა და მუხლებზე დაჩოქილი ყოველგვარი კანონიერების დარღვევით ყურით შეათრიეს რუსეთის იმპერიაში, СНГ რომ ჰქვია.

ისეთი სულისკვეთება გამეფდა, რომ ეროვნული მოძრაობა სალანძღავ სიტყვად გადაიქცა. კაცი თუ ადრე დისიდენტი იყო, ეს მისი ბიოგრაფიის შავ ფურცლად განიხილება. თუკი მავანი მწერალი ან მხატვარი უვარგისია, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მწერლობა და მხატვრობა არ ვარგა საერთოდ! მართალია, ეროვნული მოძრაობისზოგიერთი თავკაცი ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, ამიტომ მთლიანად მოძრაობა ამოვსვაროთ ლაფში? მაგრამ საკითხისადმი ამდაგვარი მიდგომა ხელს აძლევს დღევანდელ ხელისუფლებას და სახელმწიფოს მეთაურს; ჩვენ, ყოფილი (?!) კომუნისტები ვართ ნამდვილი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებიო — აცხადებენ ურცხვად. რა ადვილად „დაივიწყეს“ ადრინდელი ნამოღვაწარი... ჭეშმარიტად, „არ გათეთრდების ყორანი“... ალბათ ის იყო ეროვნული მოძრაობა, როცა ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის ზოგიერთი მოღვაწე ბრეჟნევს კისერზე ეკიდებოდნენ.

და ისევ გათიშულნი ებრძვიან ეროვნული ძალები დღევანდელ ხელისუფლებას. ისევ ვაგებთ (თუ უკვე საბოლოოდ არ წავაგეთ!), ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით „გამარჯვება“ — თუ მას შეიძლება ასე ეწოდოს, — მათ მხარეზეა. მათ თავიანთი პოლიტიკის არგუმენტირებულ კრიტიკას რომ ვერაფერი დაუპირისპირეს, საკუთარი პარტიაც შექმნეს, მოქალაქეთა კავშირად წოდებული და ერთ-ერთ თავკაცად გაწითლებული მწვანე დაუყენეს.

როგორ ვებრძოლოთ ამ ახლადშექმნილ კომპარტიას — ისევ გათიშულებმა? ერთადერთი გზა ისაა, რომ ყველა საღად მოაზროვნე პოლიტიკური ძალა, რომელიც ეროვნული მოძრაობიდან მოვიდა ხელისუფლებაში და არსებობს მის გარეთაც, უნდა გაერთიანდეს საერთო მტრის — საქართველოს ნამდვილი დამოუკიდებლობის მოძულეთა წინააღმდეგ. პარლამენტში ხშირად გაისმის უმრავლესობის მხრივ დაცინვა, — ეგენი ქუჩიდან მოსულები არიანო. დაიხ, ისინი ქუჩიდან არიან მოსულები, რამეთუ მაშინდელი რეჟიმი, რომლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი დღეს ჩვენი სახელმწიფოს მეთაური გახლავთ, არ გვითმობდა თბილ აუდიტორიებსა და დარბაზებს და იძულებული ვიყავით ქუჩაში შევკრებილიყავით. ის კიდევ ცალკე საკითხია, რომელი უმჯობესია, ქუჩიდან მოსვლა თუ უმაღლესი პარტიული სკოლიდან...

ამრიგად, ოთხი წლის წინანდელი მოწოდება დღესაც ძალაშია, ამ ცოტა ხნის წინ სასიკეთო მოვლენა მოხდა: გაერთიანდნენ რესპუბლიკელები, სახალხო ფრონტი და ქარტია-91. მადლობა მათ! ხელისუფლება ამ გაერთიანებამ, რბილად რომ ვთქვათ, გააღიზიანა, რაც იმას მოწმობს, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო. ყველა უნდა გაერთიანდეს საქართველოს გადასარჩენად. სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს. ხელიდან ნუ გავუშვებთ ამ ისტორიულ შანსს, შეიძლება, უკანასკნელს...

ვანო ჭყავილაშვილი
1994 წლის ივლისი

# ხელისუფალთა პასუხისმგებლობა ერისა და პიროვნების წინაშე

## (ადამიანის უფლებების შესახებ ბილის კონცეფცია)

ერი და პიროვნება ორ რამეს მოითხოვენ: ძალადობისაგან დაცვას და ეროვნული ღირსების პატივისცემას. პირველს ახორციელებს სამართლებრივი სახელმწიფო, მეორეს — დემოკრატია".

კ. იასპერსი

ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში მცხოვრებ ხალხებს სჭირდებათ სამართლებრივი სახელმწიფო, რადგან მათ მემკვიდრეობად ერგოთ უსამართლო სახელმწიფო, ერთპარტიული სახელმწიფო სამართლებრივი ჩარჩოების გარეშე, უფრო მეტი, ზნეობრივი ჩარჩოების გარეშე. ერთი გაბატონებული პარტიის პოლიტიკა სამართლებრივი საზღვრების გარეშე, რა დროსაც მიზანი ამართლებს საშუალებას, კაცობრიობის ნათელი მომავლის საბაბით ინტელექტუალთა მთელი მასების განადგურების ფასად და დაპყრობილი ერების დენაციონალიზაციის ხარჯზე, იყო და რჩება ყველა დროისა და ერის ბოლშევიკების უკურნებელ სენად.

„პროლეტარიატს სამშობლო არ აქვს" — ეს ლოზუნგი ეფექტურად გამოიყენა რუსეთის რეაქციულმა ძალამ, და მათმა უგუნურმა იდეოლოგიურმა ძმებმა რუსეთის იმპერიის დაპყრობილ ერებში, იმპერიის საზღვრების შესანარჩუნებლად და გასაფართოებლად. ეს ლოზუნგი შემდგომში მათ შესცვალეს ერების შერწყმის და ერთ სახლში გაერთიანების ლოზუნგით, რაც იგივე მიზანს ემსახურებოდა. ამას ემატებოდა კლასთა ბრძოლის იდეოლოგია, რომელმაც ერები გახლიჩა, ხალხი გააბოროტა და ადვილად სამართავ ბრბოდ აქცია. ამ აზრით, პროვინციული ფაშიზმი მცირეწლოვანი შვილობილია კომუნისტური ფაშიზმისა.

ასეთ უზნეო საზოგადოებაში ჩვენს დაბრუნებას ადვილად ურიგდება დასავლეთის პოლიტიკური ელიტა, რომელიც მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის შეუვალ ბასტიონად და კანონმდებლად თვლის თავს. ეს ის ელიტაა, რომელიც გუშინ საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერიად აღიარებდა, დღეს კი გუნება-განწყობა შეეცვალა...

გავლენის სფეროების დღევანდელი გადანაწილება უდღეურია, მოჩვენებითია, რადგან აღმოსავლური „რენესანსი" ისლამური ფუნდამენტალიზმის ფარაჯაში მარშით გაივლის ევროპას. ამის პირველი და სერიოზული ნიშანი ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაა, უახლოეს მომავალში — ყირიმის გავლით ჩრდილო კავკასია და ა.შ. — 38 პარალელის გაყოლებით. არც რუსეთი გადაურჩება ამ ერთი შეხედვით სტიქიურ პროცესებს, რადგან მას დაემატება მონღოლოიდი ერები, რომელთაც უნარი შესწევს მშვიდობიანი გზით უახლოეს მომავალში შეცვალონ დემოგრაფიული სიტუაცია ციმბირის რეგიონში.

თუ დასავლეთს და რუსეთს სურს თავიც და ცივილიზაციაც გადაარჩინოს, მით უმეტეს, რომ რუსულ მესიანიზმს ამის პრეტენზია აქვს, მათ მთელი თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ძალისხმევა ფართო ფრონტით უნდა მიმართონ აღმოსავლეთის დეისლამიზაციისაკენ და ქრისტიანული ქვეყნების კონსოლიდაციისაკენ, ქრისტიანობა ზედმეტად მიმტევებელი აღმოჩნდა.

რა ქნან მცირე ერებმა? გულხელდაკრეფილი ელოდონ მოვლენათა მათ სასარგებლოდ განვითარებას?...

რა ქნას საქართველომ?...

იბრძოლოს! მხოლოდ იბრძოლოს! ყველა ხერხითა და საშუალებით!

მოვუსმინოთ გამოჩენილ გერმანელ მეცნიერსა და მოაზროვნეს რუდოლფ ფონ იერინგს: „დავა არის უფლების წარმოშობის მიზეზი, დავის გადაწყვეტა არის უფლების მიზანი, ბრძოლა უფლებისათვის არის დავის გადაწყვეტის საშუალება".

გამოჩენილი გერმანელი სამართალმცოდნის ეს ნააზრევი, ჩვენი აზრით არის საერთოდ სამართლის ისტორიის საზრისის ამხსნელი ფორმულა, რადგან ბრძოლა უფლებისათვის იყო, არის და იქნება კაცობრიობის მამოძრავებელი ძალა. მთავარი ამ ბრძოლაში არის უფლება და არა ინტერესი.

უფლებისათვის ბრძოლა თითოეული ადამიანის და მთლიანად ერის არა მარტო უფლებაა, არამედ ზნეობრივი მოვალეობაც, რადგან ასეთი ბრძოლა ქმნის სხვა სახელმწიფოსაგან ადამიანის როგორც ერის შვილის და მთლიანად ერის უფლებების ხელშეუხებლობის ფსიქო-სოციალურ და ნორმატიულ ატმოსფეროს.

სწორედ აქ იხსება სამართლის აზრის წვდომის საკითხი, სამართლის საზრისის პრობლემა. სამართლის საზრისის ფესვები უფლებაშია, უფრო ზუსტად უფლებისათვის ბრძოლაშია. ისტორია ადასტურებს, რომ სიცოცხლისუნარიანია ის ერი, რომელსაც სამართლის გრძნობა მტკიცე აქვს, რომელიც მუდმივად ილვწის სამართლის აზრის წვდომისაკენ.

ერიც და ერის შვილიც სამართლებრივად თავმოყვარე უნდა იყოს, მით უმეტეს მას ბუნებით აქვს ბოძებული უფლება დაიცვას თავი ანუ აუცილებელი მოგერიების უფლება. ბევრი სხვა ერისაგან განსხვავებით ქართველ ერს აუცილებელი მოგერიების საზღვრები არასდროს დაურღვევია. ამისათვის ხომ არ ისჯება ეს ერი?

ქართველი ერის საკაცობრიო იდეა აკუმულირებულია სიტყვებში — „სამშობლოს არვის წავართმევთ", თუმცა შესაბამისი ლექსის კუპლეტის ბოლო ორი სტრიქონის რეალიზებას XX საუკუნეში მეორეჯერ ექმნება ზღუდე-მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული იდეების რეანიმაციით. ნუთუ ისევ უნდა განმეორდეს 1921 წელი, 1924 წელი, 1937 წელი? კმარა! ერთი კუთხის კოსმოპოლიტიზმს და მეორე კუთხის სეპარატიზმს დაუსრულებლად არ უნდა ეწირებოდეს ერის მთლიანობა და ეროვნული სუვერენიტეტი. ამიტომ დღეს ერის გადარჩენის ერთად-ერთი გზა ერის სულიერი კონსოლიდაციაა და არა ფართომასშტაბიანი ბრძოლა ყოველგვარი ეროვნულის წინააღმდეგ, მათ შორის ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერის და წარმომადგენლის წინააღმდეგ მონაჭორებით.

რა კავშირშია ყოველი ზემოთნათქვამი ადამიანის უფლებებთან? უშუალო და პირდაპირ კავშირში.

თითოეული ადამიანი, უშუალოდ არა კაცობრიობის, არამედ რომელიმე ერის ნაწილია. ჯერ-ჯერობით ადამიანები ერების მეშვეობით ქმნიან კაცობრიობას. გამომდინარე აქედან, თუ ერი დაუცველია, მაშინ დაუცველია ადამიანი, თუ ადამიანი დაუცველია, დაუცველია ერი. ადამიანებისაგან შემდგარი ერი ქმნის თავის სახელმწიფოს. მსოფლიოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც შესაბამისი ერის სახელმწიფო არ იყოს. საფრანგეთის რესპუბლიკა არის ფრანგი ერის სახელმწიფო, ვანუატუს რესპუბლიკა არის ვანუატუელი ერის სახელმწიფო და ა.შ.

მეორეს მხრივ, სახელმწიფოს იდეა ერის მიერ შექმნილი თავისი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებით შებოჭვაში, შეზღუდვაში მდგომარეობს, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის მკაცრ სამართლებრივ რეგლამენტირებაში გამოიხატება, რაც საბოლოო ჯამში ერის სულიერ კონსოლიდაციას ემსახურება.

სახელმწიფოს იდეის რეალური განხორციელება დაკავშირებულია ისეთი სამართლებრივი მექანიზმის შექმნასთან, რომელიც აღკვეთს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას. ამ მექანიზმის ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის ადამიანის ე.წ. საჯარო უფლებები, რომელიც გულისხმობს ადამიანის უფლებას მოსთხოვოს სათანადო ქცევა და პასუხი აგებინოს თანამდებობის პირს. მოკლედ, საჯარო უფლება არის ადამიანის უფლება საჯარო ხელისუფლებაზე.

სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებას ანუ სახელმწიფოს სამართლით შეზღუდვას აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის საქმიანობას საზღვარს უდებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, ე.წ. საჯარო უფლებები. სხვა სიტყვებით, სამართლით სახელმწიფოს შეზღუდვის, შებოჭვის უნივერსალური მიზანი არის თითეული ადამიანის მინიმალური, ფუნდამენტური, სასიცოცხლოდ აუცილებელი უფლებების ანუ საჯარო უფლებების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა. ეკონომიკურ ასპექტში იგი მოიცავს სოციალურ სიკეთეთა სამართლიან გადანაწილებას, მათ შორის ე.წ. „აუტსაიდერთა" სოციალური უზრუნველყოფის სამართლებრივი მექანიზმის არსებობას, პოლიტიკურ ასპექტში — ადამიანის სოციალურ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მონაწილეობდეს ქვეყნის მართვაში, ხოლო პიროვნულ ასპექტში — ადამიანის ბუნებრივ ლტოლვას შექმნას სხვებისაგან შეულახავი, შეუღწევადი საკუთარი ინტიმური სამყარო.

განსხვავებით საჯარო უფლებებისაგან კერძო უფლებებში სიმძიმის ცენტრი პიროვნებაში და არა სახელმწიფოში მდებარეობს. მათი შეძენა — განხორციელება უპირატესად კერძო ინიციატივაზეა დამოკიდებული. კერძო უფლებები ასაბუთებენ პიროვნების ინდივიდუალობას. საერთოდ კი, ადამიანის კერძო უფლებების ნებისმიერ რელატივაციას და მათ სამართლებრივ დაქვემდებარებას კოლექტივის ინტერესებისადმი უცილობლად მივყავართ სახელმწიფო ტოტალიტარიზმამდე და რეფლექსურად იწვევენ ადამიანის ინდივიდუალობის ნიველირებას, რაც საბოლოო ჯამში საზოგადოებას აქცევს ინერტულ მასად. კერძო უფლებები ასაბუთებენ საზოგადოებაში გარკვეული უთანასწორობის სარგებლობას, რადგან კერძო ინიციატივა ყოველთვის იყო და არის საზოგადოებრივი პროგრესის პირობა. უფრო მეტი, ბალანსი თანასწორობასა და უთანასწორობას შორის ქვეყნის სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია.

კონსტიტუციებში ფიქსირებული ადამიანის უფლებები წარმოადგენენ უფლებების არა უბრალო დეკლარირებას, არამედ რეფლექტორულად წარმოშობენ სახელმწიფოს სამივე ხელისუფლების ვალდებულებებს, უფრო მეტი — პასუხისმგებლობას. კონსტიტუციებში ფიქსირებული ადამიანის უფლებები სამივე ხელისუფლებასთან მიმართებაში სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ თითოეული ხელისუფლება აღიარებს ამ უფლებებს და თავისი ყოველდღიური საქმიანობის პროცესში იურიდიულ ვალდებულებას კისრულობს დაიცვას ისინი, უფრო მეტი, მზად არის პასუხი აგოს მათი დაუცველობისათვის. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ ადამიანის კონსტიტუციური უფლებები წარმოადგენენ სახელმწიფოს მომწესრიგებელ ნორმებს, ხელისუფლებათა ფუნქციონირების საზღვრებს, მასშტაბებს, ფარგლებს. ამ თვალსაზრისით თითოეული ხელისუფლების მიერ თავისი ძალაუფლების განხორციელების ეფექტურობის ერთადერთი კრიტერიუმია მათ მიერ კონსტიტუციური უფლებების დაცვის მდგომარეობა, რადგან ამ ამოცანის შესრულება არის საფუძველი და წინამძღვარი სახელმწიფოს სხვა ძირითადი ფუნქციების შესრულებისა. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან გამომდინარე დასავლეთის სახელმწიფომცოდნეები კონსტიტუციას განმარტავენ როგორც იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლითაც იმართება სახელმწიფო.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ხელისუფლებათა შორის ძალაუფლებათა ნორმატიული განაწილება, რაც გულისხმობს მათ შორის კონკურენციას, ურთიერთკონტროლს და ურთიერთშეზღუდვას, უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლება-თავისუფლებებს. კერძოდ, თითოეული ხელისუფლება თვალყურს უნდა ადევნებდეს, თუ როგორ იცავს დანარჩენი ორი ადამიანის ძირითად უფლებებს, და კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში უნდა შევიდეს წარდგინებით შესაბამის ხელისუფლებაში, შემდეგ კი საკონსტიტუციო სასამართლოში. ამ კონკურენციით, ურთიერთკონტროლით და ურთიერთშეზღუდვით მოგებული რჩება ადამიანი და მთლიანად ერი. სხვანაირად აზრი ეკარგება ისეთი ძვირადღირებული სოციალური ინსტიტუტის შენარჩუნებას, როგორიც სახელმწიფოა, სახელდობრ, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები თავიანთი უამრავი ატრიბუტებით.

კონკურენცია, ურთიერთკონტროლი და ურთიერთშეზღუდვა საჭიროა იმისათვის, რომ არ მოხდეს ხელისუფლებებს შორის მორიგება ერის ინტერესების საზიანოდ. ასეთი მორიგება ძირითადში შეიძლება გამოიხატოს: ეკონომიკის დარგში — ეროვნული შემოსავლის ნაწილის უკანონო მითვისებაში, პოლიტიკის დარგში — ტერიტორიის დათმობაში ან სუვერენიტეტის განაწილებაში სხვა ქვეყანასთან, პიროვნულ ასპექტში — უშიშროების სამსახურის მიერ დევნის გააქტიურებაში სხვაგვარად მოაზროვნეთა (და არა სხვა ქვეყნის სპეცსამსახურის თანამემამულე მსტოვრების) წინააღმდეგ. ყველა შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების მინიმუმ სამი სტრუქტურა მაინც უნდა იყოს ეროვნული ინტერესების თავდადებული დამცველი: ესენია — სახელმწიფოს მეთაური, აგრეთვე, თავდაცვის და უშიშროების სამსახურები.

ადამიანის უფლებების დაცვის ცენტრალური ფიგურა სამ ხელისუფლებათა შორის არის აღმასრულებელი ხელისუფლება და მისი მეთაური. ნებისმიერ ქვეყანაში უშუალოდ ისინი მართავენ საზოგადოებრივ პროცესებს და არა საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებები. საკანონმდებლო ხელისუფლების, პარლამენტის ფუნქცია მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლება-თავისუფლებების უზრუნველმყოფი კანონების მიღებაა, აღმასრულებელი ხელისუფლების, მთავრობის კი — ამ უფლებების რეალური განხორციელების პროცესის მართვა-გამგეობა. ჩვენდა საუბედუროდ კომუნისტები მიუჩვეველნი არიან სოციალურ მართვას (ამ სიტყვის ჭეშმარიტი აზრით), მათ შეუძლიათ მხოლოდ ძალადობა. ისტორია ამას ადასტურებს. სოციალური მართვა ნიშნავს მმართველი სუბიექტის უნარს შეუხამოს ერთმანეთს ცენტრალიზმი და დეცენტრალიზმი. მრავალგზის მითქვამს: სჯობს, უცხოელ ექსპერტებს ვამართვინოთ ქვეყანა, ვიდრე დილეტანტებს, მით უმეტეს კომუნისტებს.

სასამართლო ხელისუფლების ფუნქცია ამოიწურება მხოლოდ იმ უფლებების დაცვით, რომელთა დარღვევის გამო საქმე სასამართლოს ექვემდებარება და ისიც კანონით განსაზღვრული პირის ინიციატივით. ამიტომ სამართლებრივი პასუხისმგებლობის მთავარი ობიექტი არის აღმასრულებელი ხელისუფლება.

სამწუხაროდ, ადამიანის უფლებების და მათი უზრუნველყოფის ზემოაღნიშნული, გარანტიების უგულველყოფით ცოდავს კონსტიტუციის ბევრი წარმოდგენილი პროექტი. ამის მიზეზი სამართლებრივი ნიჰილიზმია.

სამართლებრივი ნიჰილიზმი არა მარტო მოსახლეობის და განსაკუთრებით თანამდებობის პირების მხრიდან სამართლის მომწესრიგებელი ფუნქციის უგულვებელყოფაში გამოიხატება, არამედ იმაშიც, რომ თანამდებობის პირები, განსაკუთრებით კანონმდებელნი, სახელმწიფოს სამართლებრივი ორგანიზაციაზე მსჯელობისას უგულვებელყოფენ იმის საჭიროებას, რომ ელემენტარული წარმოდგენა იქონიონ სამართლის ძირითად ცნებებსა და კატეგორიებზე.

შეიქმნა კურიოზული სიტუაცია, სამართალზე ყველას აძლევენ საშუალებას იმსჯელოს გარდა სამართალმცოდნისა. მაშ, რითი უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, განსაკუთრებით ტელევიზიის კარები დახშულია სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის და მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის სპეციალისტებისათვის. ამ დროს ბევრ თანამდებობის პირს, რომელსაც თანამდებობრივად აკისრია ადამიანის უფლება-თავისუფლებების დაცვა, წარმოდგენაც კი არ აქვს უფლების და თავისუფლებების ცნებაზე, დემოკრატიის სამართლებრივ მექანიზმზე, ვალდებულებითი ურთიერთობის არსზე, სარჩელის უფლების უზრუნველყოფის სამართლებრივ პრინციპებზე და ა.შ.

სამართლებრივი ნიჰილიზმი სასამართლოს, როგორც თანაბარძალოვანი დამოუკიდებელი ხელისუფლების ფუნქციონირების, ბლოკირებაშიც გამოიხატება. იქ სადაც სასამართლოს უფლებადაცვითი ფუნქცია უგულველყოფილია, იქ დემოკრატიის ჩანასახიც კი არ არსებობს.

— საერთოდ, სამართლებრივი ნიჰილიზმი კომუნისტების [illegible] ნია. კომუნისტური აზროვნების პირებით დაკომპლექტებული აღმასრულებელი ხელისუფლება სამართლებრივ სახელმწიფოს ვერ და არ ააშენებს! სამართლებრივი ნიჰილიზმის სიღრმისეული მიზეზი ტოტალიტარულ აზროვნებებში ძევს, რადგან მისთვის სამართალი დეპერსონიზებული, დეჰუმანიზებული სოციალური ზედნაშენია.

სახელმწიფოს მოვალეობის მედლის მეორე მხარეა მისი პასუხისმგებლობა ერისა და პიროვნების წინაშე, რაც გულისხმობს მის მოვალეობას პასუხი აგოს მართლმსაჯულების წინაშე. პასუხისმგებლობა სახელმწიფოსთან მიმართებაში მხოლოდ სამართლებრივი შეიძლება იყოს. ასე, რომ, როდესაც თანამდებობის პირი თავზე იღებს პასუხისმგებლობას, ის უნდა ელოდოს სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამართალი პასუხისმგებლობის გარეშე უნაყოფო ხეა, დეკორაციაა.

ადამიანის უფლებების კონცეფცია საქართველოში (თუ არ ჩავთვლით ორსამ გამოკვლევას) მეცნიერულად დამუშავებული არ არის, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით იგი დისიდენტურ დონეზე გაიყინა. ამ ხარვეზის შესავსებად საჭიროა, რომ ხელისუფლებათა განაწილების ნებისმიერ მოდელს, და საერთოდ კონსტიტუციის ნებისმიერ პროექტს შევხედოთ ადამიანის უფლებების „დასავლური სათვალეებით" მაინც, საწინააღმდეგო შემთხვევაში ქვეყანაში ხელისუფლებათა განაწილება თვითმიზნად იქცევა, ეროვნული ინტერესების მაგივრად იგი მოემსახურება ბიუროკრატიის საერთო და კერძო ინტერესებს, პოლიტიკური პარტიების უტილიტარულ მიზნებს. ამის სიმპტომები დღეს აშკარად შეიმჩნევა.

სწორედ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს გადაჰყავს კონსტიტუცია აბსტრაქტული ნორმების ერთობლიობიდან ხელისუფლებების მიერ თავის ძალაუფლებათა რეალური განხორციელების დამამთავრებელ სტადიაში. ამ დამამთავრებელ სტადიას ჩვენ ვუწოდებთ კონსტიტუციურ მართლწესრიგს, უფრო გასაგებად — კონსტიტუციურ წესრიგს.

სამართლებრივი თვალსაზრისით საკითხი ეხება კონსტიტუციაში დეკლარირებული უფლება-თავისუფლებების ადექვატური იურიდიული მექანიზმის შექმნას, რაც უზრუნველყოფს ამ უფლება-თავისუფლებების რეალურ განხორციელებას. ეს იურიდიული მექანიზმი გულისხმობს სამივე ხელისუფლების ფუნქციონირების საკანონმდებლო მექანიზმის ჩამოყალიბებას, პიროვნულ ასპექტში კი ადამიანის უფლებაუნარიანობის გაფართოებას სახელმწიფოს მიმართ, რაც ყოფით ენაზე გულისხმობს მოქალაქის უფლებასაც სასამართლოში მოპასუხედ გამოიძახოს თანამდებობის ყველა პირი, დაწყებული სახელმწიფოს მეთაურიდან.

ამრიგად, საუბარია კონსტიტუციური უფლება-თავისუფლებების გადაყვანაზე ხელისუფლებათა მოვალეობის ენაზე არა კონსტიტუციაში, არამედ კონსტიტუციურ კანონმდებლობაში. მთავარია არა იმდენად კონსტიტუცია, რამდენადაც ამ კონსტიტუციის განხორციელების ზუსტი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა. ეს მექანიზმი გულისხმობს კონსტიტუციური უფლება-თავისუფლებების დამაკონკრეტებელი და მადეტალიზებელი სამართლებრივი ნორმების შექმნას ხელისუფლებათა მოვალეობების სახით, რომელთა გამო მოქალაქენი აღჭურვილნი იქნებიან მოთხოვნისა და სასამართლო სარჩელის უფლებებით.

სახელმწიფოს აქვს მხოლოდ მოვალეობები ადამიანის მიმართ, ხოლო ადამიანს აქვს მხოლოდ უფლებები სახელმწიფოს მიმართ. რა თქმა უნდა ადამიანს აქვს მოვალეობები, მაგრამ მხოლოდ ერის წინაშე, ხოლო სახელმწიფო ერის წინაშე მოქალაქეთა მოვალეობების შესრულების უბრალო ტრანსფორმატორია.

საერთოდ კი, სახელმწიფო უნდა იყოს შუამავალი ერსა და პიროვნებას შორის, ერისა და პიროვნების გამამთლიანებელი. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ სამივე ხელისუფლება, განსაკუთრებით სახელმწიფოს მეთაური პატივს სცემდეს თავის ერს. მხოლოდ ამის შემდეგ ამ ერს პატივს სცემენ სხვა ერები, ხოლო თავად ერი პატივს მიაგებს თავის ხელისუფალთ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ერის კონსოლიდაცია და ეროვნული ძალების მობილიზაცია.

პროფ. ზ. საპანელი

25.05.94

# ვის დარჩება საქართველო?!

ჩვენს პრესაში არაერთი შემაშფოთებელი და მე ვიტყოდი, მართლაც საგანგაშო ინფორმაცია თუ წერილი გამოქვეყნებულა იმის თაობაზე, რომ საქართველოს, საკუთარ სამშობლოს, ყოველდღე უამრავი ადამიანი ტოვებს და ახლო საზღვარგარეთსა თუ შორეულ საზღვარგარეთში მიემგზავრებიან ბედის საძებნელად, უფრო სწორად, ნორმალური ცხოვრების საძებნელად.

კიდევ უფრო საგანგაშო ის არის, რომ ამ ინფორმაციებზე ხელისუფლების მხრიდან არავითარი რეაგირება არ ხდება. ვითომც არაფერი! წავიდნენ და წავიდნენ, აქ ხელისუფლება რა შუაშია, ვისაც სად უნდა, იქ მიდის. ასეთი ან მსგავსი პოზიცია აქვს ხელისუფლებას. ამასობაში კი ქვეყანა დაიცალა ნიჭიერი ბიზნესმენებისაგან, ექიმებისაგან, იურისტებისაგან, მეცნიერებისაგან და საერთოდაც, ქართველი ადამიანებისაგან, რომელთა მონაგარს, შთამომავლობას აქ უნდა გაეგრძელებინა ცხოვრება და ერი უნდა გაეძლიერებინა.

ზოგიერთი მონაცემებით უკვე მილიონნახევრამდე ადამიანია წასული ქვეყნიდან. ამაში ქართველები, [illegible]ბათ, ნახევარს მაინც შეადგენ[illegible] სავალალო ის გახლავთ, რომ [illegible] პროცესი დღესაც გრძელდება [illegible] შეიძლება ითქვას, უფრო ი[illegible]რადაც.

მიგრაციისა და ემიგრაციის პროცესები თითქმის ყველა ქვეყანას აქვს გადატანილი და აქ ახალი არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენისთანა პატარა ერისათვის დღევანდელი ემიგრაციის მასშტაბები შეიძლება მომავალში ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობისა და ქართული გენის გადაგვარების წინაპირობადაც იქცეს.

არადა, ადმინისტრაციული ზომების მიღებით, აკრძალვებით და მსგავსი მეთოდებით ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია და მიუღებელიც, ვინაიდან არჩევანის უფლება ყველა ადამიანს აქვს და თუ დემოკრატიას ოდნავ მაინც სცემ პატივს, მის ამ უფლებას ვერ შეზღუდავ. ჩვენში დიდი დემოკრატიულობით ხელისუფლება ნამდვილად ვერ დაიკვეხნის, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ვერც ეროვნული პრობლემების გულთან მიტანითა და მის მოგვარებაზე ზრუნვით შეიქებს თავს, მეტიც, ქვეყნის სათავეში მისი ყოფნის პერიოდში ისეთი ნეგატიური მოვლენები განვითარდა, რომ მათ გამოსწორებას ათწლეულები დასჭირდება.

ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ ხელისუფლებას არც მოსახლეობის მასობრივი ემიგრაციის პრობლემები მიაქვს გულთან და არც ქვეყანაში ცხოვრების დონის ოდნავი გაუმჯობესებისათვის ზრუნვით იკლავს თავს მაინცდამაინც.

ამ მასობრივი ემიგრაციის მიზეზი კი, მკითხველს კარგად მოეხსენება, სწორედ ჩვენში დამკვიდრებული ცხოვრების წესი, ჩვენი ცხოვრების დონე, ჩვენი გაუსაძლისი მდგომარეობა გახლავთ და ამ უპატრონო ქვეყანაში პატრონის (ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით) ამაო ძებნით დამაშვრალნი და ჩვენი ყოველდღიურობის შემაძრწუნებელი სისასტიკისგან დათრგუნულ-დაბეჩავებული ადამიანები, შეიძლება ითქვას, გარბიან აქედან. გარბიან, რადგან ჩვენში დღეს ყველაფერი თავდაყირაა: ავტომატიანია პირველი კაცი და ქურდი გამგებელი, ჩვენში არც კაპიტალიზმია და არც სოციალიზმი, ისეთი წყობაა, რომელსაც წყობასაც ვერ უწოდებ, სწორი იქნება, თუ ვიტყოდით, რომ ჩვენში დღეს ისეთი აჯაფსანდალია, რომელშიც კაპიტალიზმთან ერთად სოციალიზმიც დაცურავს და მათთან ხელიხელჩაკიდებულად ქვეყანას ყოფილი წითლები, ყოფილი შავები, ყოფილი მწვანეები და ღმერთმა უწყის, კიდევ რა ფერისა და რა ორიენტაციის მაფიოზური კლანები მართავენ.

ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები პრესითაც, ტელევიზიითაც საჯაროდ აცხადებენ, რომ სტაბილიზაციის ნიშნები შეიმჩნევა და მალე დაეწყობა ქვეყანაო (ღმერთმა ქნას ასე იყოს), მაგრამ ის პროცესები, რაც ჩვენში ვითარდება დღეს, არა მგონია სტაბილიზაციის პირობების შექმნის საფუძველი გახდეს და მეტიც, შეიძლება ისეთი სტაბილიზაცია დამყარდეს, რომ ქვეყნის მმართველ მაფიოზურ კლანებს ყველაფერი (ერის, ხალხის სიმდიდრე) განაწილებული ჰქონდეთ და მოსახლეობის რიგით წევრებს ხმის ამოღების უფლებას არ აძლევდნენ. ამგვარი „სტაბილიზაცია“ (არა ხალხისთვის, არამედ ხელისუფალთათვის) დღეს ნამდვილად შეიმჩნევა და პოლიტიკურ ენაზე ამას ავტორიტარული რეჟიმის დამყარება ეწოდება. ყოველ შემთხვევაში, ახლო მომავალი გვიჩვენებს ყველაფერს.

ვის დარჩება საქართველო! იკითხავს გულუბრყვილო და ქვეყნის ბედით გულწრფელად შეწუხებული მკითხველი, რომელსაც ამისი პასუხი ქვეცნობიერად თვითონვე ექნება მზად. რა თქმა უნდა, დარჩება [illegible], ვინც არც ავტომატის აღება დაიზარა (არა საკაიკაცოდ), არც შრომის გაყვლეფა-დაბეჩავება, არც ყოველგვარ უკუღმართობაზე ხელის გასვრა და დღეს ურცხვად პირში გვეუბნება, რომ მე ვარ ქვეყნის დამცველი, გადამრჩენელი და სინდის-ნამუსიცო.(უცხო ტომის ხალხზე აქ არაფერს ვამბობ, რადგან ამ ხელისუფლების ხელში ისინი ისედაც მშვენივრად გრძნობენ თავს, შეიძლება ითქვას, თვით მკვიდრ მოსახლეობაზე უკეთესადაც კი). საბედნიეროდ, დარჩებიან ისინიც, ვინც ვერ ეგუება ასეთ ცხოვრებას და ცდილობს აქტიურად იბრძოლოს იმისთვის, რომ ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების წესი დამყარდეს. ასეთები, სამწუხაროდ, არც ისე ბევრნი არიან, მაგრამ იმედი დიდია იმისა, რომ გაწამებულ-გასავათებული ხალხი მათ დაუდგეს გვერდით და ერთად იბრძოლონ ქვეყნის გადარჩენისთვის, რადგანაც რაც არ უნდა კარგი იყოს სხვაგან ცხოვრება, მაინც საკუთარი, მშობლიური საქართველო სულ სხვაა და ნამდვილი ქართველი კაცი ძნელად თუ გაცვლის სამშობლოს „სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

სერგო ჯანაშია


«იმერეთი»

Ltd «იმერეთი» იღებს სავალუტო ანაბრებს (ამერიკული დოლარი, რუსული რუბლი) თქვენთვის ხელსაყრელ პირობებში:

ამერიკული დოლარები:

1 თვით — 15%
3 თვით — 60% ყოველთვიური გატანით — 16%
6 თვით — 160% ყოველკვარტალური გატანით — 70%
1 წლით — 300% ყოველკვარტალური გატანით — 72%

რუსული მანეთები:

3 თვით — 75%
6 თვით — 240%
1 წლით — 500%

ჩვენი მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. 79, მეცნიერებისა და ტექნიკის სახლი, მეორე სართული, ოთახი 26, ტელ.: 95-72-07.

«იმერეთი» – ყველაზე მტკიცე გარანტიები

ინფორმაციას თქვენი საქმიანობის შესახებ მიიღებს სრულიად საქართველო. გთავაზობთ ყველაზე იაფად ნებისმიერი სარეკლამო განცხადების განთავსებას ჩვენს გაზეთში.

ჩვენი მისამართია: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
ტელეფონები: 93-18-41, 93-19—99

ქირავდება 2 ან 3 კეთილმოწყობილი ოთახი ოფისისათვის ტელეფონით მე-3 სართულზე, ამერიკის საელჩოს გვერდით.
მისამართი: ხიდის ქუჩა №1
ტელ. 99—85-81 98-36-43 98-43-75

ვყიდი ავტომანქანა ჟიგულს, 01-ს, 1976 წ. გამოშვებას, კარგ მდგომარეობაში. ფასი 600 დოლარი. ტელ. 93-18-41, 73—96-26.

ვყიდი ან ვცვლი სუფთა ოთხოთახიან იზოლირებულ ტელეფონიან (ყველა ოთახი ცალ-ცალკე) ბინას 9 —სართულიანი სახლის მე-2 სართულზე ვარკეთილი — 3 I მიკრორაიონში (მეტროსთან ახლოს), 3-ოთახიან ბინაზე დიღმის მასივში, სანზონაში, ნაძალადევში, ისნის, ავლაბრის მეტროსთან ახლოს ან კერძო ეზოიან სახლზე. ფასი 4000 დოლარი. ტელ. 93-18-41, 73—96-26

ვიწვევთ გაზეთ „საქართველოს“ გამავრცელებლებს. ანაზღაურება იქნება მაღალი.
ტელ: 93-19—99

ორგანიზაციას ესაჭიროება მდივან-მემანქანე
ტელ: 93-19—93

იყიდება ფოტოაპარატი „ქენონი“ ფასი 400 $
ტელ: 93-18-41



მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო
ნინო დანელია
გელა ებანოიძე
ხათუნა კვესელავა
ირმა ლომაური
სერგო ჯანაშია



რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
ტელ: რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41.
პასუხისმგებელი მდივანი: 93-19-99

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 60 000 კუპონი